ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 8 ნოემბერი, 2016 №265 (7190) ფასი: 50 თეთრი

ვახტანგ აბაშიძეს ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს

როგორია შრომის ანაზღაურება სახელმწიფო დაწესებულებებში

გვ.5



გვ.5

რა ქონების მფლობელია საპარლამენტო უმრავლესობის მომავალი ლიდერი არჩილ თალაკვაძე

8 ნოემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

დევიდ ლოურენსი

ლედი ჩეთერლის საყვარელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

რატომ გადადგა სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობიდან

გვ.2

წალეკავს თუ არა ნაპრეზიდენტალის „ტალღა“ უკრაინას

სანდრა რულოვსი ნაციონალების თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს?

სააკაშვილის მეუღლემ დეპუტატობაზე უარი თქვა

გია ხუხაშვილი: „ძალაუფლება კვირიკაშვილის ხელში რეალურად უნდა გადავიდეს“

„ბიძინა ივანიშვილისკენ ხელი აღარავინ უნდა გაიშვიროს“

გვ.3

„დენის გაძვირება გარდაუვალია“



გვ.6

ლევან ხაბეიშვილი: „ტარიფმა თუ არ მოიმატა, დენის გამორთვები დაიწყება“



ირაკლი სესიაშვილი: „იზორიამ სწორი ნაბიჯით დაიწყო“

გვ.4

„ჯარში გაწვევა ადრე თუ გვიან გასაუქმებელი იქნება“

თინა ხიდაშელი ლევან იზორიას: „ჩემი გადადგომის პირველივე დღეს იცოდით, რომ გაწვევას დააბრუნებდით, მაგრამ საარჩევნოდ შეგეშინდათ“

გვ.4

ილია ელოშვილი დენის ტარიფის გაძვირების წინაპირობას ვერ ხედავს

გვ.6

არჩილ გამზარდია: „ძალიან უსიამოვნოა, რომ მსგავს თემებს ხელისუფლება საზოგადოების აზრის სრული უკუგდებით იღებს“

ISSN 1987-9385

რატომ არ სურს მანანა კობახიძეს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეობა?

გვ.3

როგორ შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ „ტრიუმფალური გამარჯვება“ ლარის კატასტროფული კურსის ფონზე?

გვ.5

რატომ გადადგა სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობიდან

წალეკავს თუ არა ნაპრეზიდენტალის „ტალღა“ უკრაინას

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ცუდი დრო დაუდგა. რამდენიმე დღის წინ მას ნაციონალებმა პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომა კულტურულად მოსთხოვეს, გუშინ, 7 ნოემბერს კი, მან ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი დატოვა.

სააკაშვილის გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე თანამდებობა გია ლორთქიფანიძემ დატოვა. 7 ნოემბრამდე ის ოდესის ოლქის მთავარი პოლიციელი იყო და ექსპრეზიდენტის მარჯვენა ხელად ითვლებოდა.

გია ლორთქიფანიძემ წასვლის შესახებ განცხადება ფეისბუქის მეშვეობით გააკეთა, სააკაშვილი კი ველად გაიჭრა და ღია ცის ქვეშ გამართა პრესკონფერენცია.

– მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე და დავიწყო ბრძოლის ახალი ეტაპი. ბრძოლა გრძელდება, – განაცხადა ჩვენებურმა.

პოსტიდან მიმავალმა სააკაშვილმა უკრაინის პრეზიდენტსაც გაჰკრა კბილი და ის კლანების მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

– ოდესის ოლქში პრეზიდენტი ორ კლანს პირადად უჭერს მხარს. ეს არის ტრუხანოვის ბანდიტური, კრიმინალური, 90-იანი წლების მკვლელების კლანი და ურბანსკის კორუფციული კლანი. რეალურად, მთელი ძალაუფლება ოლქში ამ ორს და მათ მოკავშირეებს მისცეს, – აღნიშნა გამოსათხოვარ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა.

მის გადაწყვეტილებას მალევე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო. იგი მშობლიური მთავრობისგან ელის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ სპეციალური განცხადების წარდგინებას.

– თუ უკრაინის მინისტრთა კაბინეტი შესაბამის წარდგენას შემოიტანს, პრეზიდენტი სააკაშვილის გადადგომას მოაწერს ხელს. ასევე მოხდება სააკაშვილის გადაყენების რეალური საფუძვლის გაანალიზება, – აცხადებენ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

* * *

ნაპრეზიდენტალის და ამიერიდან უკვე ნაგუბერნატორალის გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ყველაზე მოულოდნელი ეს გადაწყვეტილება ნაციონალებისთვის აღმოჩნდა. ოდესის გუბერნატორის გადადგომა უკრაინაში მოღვაწე დავით საყვარელიძისთვისაც მოულოდნელი გამოდგა.

– ეს გადაწყვეტილება ჩემთვისაც ახალი იყო. მიხეილ სააკაშვილი არაორდინარული და საკმაოდ მაღალი დონის პოლიტიკოსია. პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ძალისხმევის მიუხედავად, არ გამოუვიდა, სააკაშვილი განტევების ვაცად გამოეყვანა. სააკაშვილს ნათლად ესმის, რაში მდგომარეობს უკრაინული საზოგადოების მოთხოვნები გაბატონებული უკანონობის ფონზე. ის ყოველთვის საზოგადოების ინტერესებით ხელმძღვანელობდა, – განაცხადა საყვარელიძემ გამოცემა გორდონთან საუბარში.

ის კატეგორიულად არ ეთანხმება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სააკაშვილი უკრაინის დატოვებას აპირებს.

– მისი შემდგომი ქმედებები საერთო ეროვნული ცვლილებებისკენ იქნება მიმართული. აუცილებელია მთელი ტბის გაწმენდა და არა – მისი ნაწილის, შეზღუდული შესაძლებლობებით. ის იმ ტიპის ადამიანი არ არის, რომელიც თანამდებობას გამოეკიდება. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რომელსაც ადრეც ველოდით. მაგრამ ის დარჩა, რათა ყველა შესაძლო რესურსით რამდენიმე პროექტი ბოლომდე მიეყვანა.

სამწუხაროდ, ეს არ გამოუვიდა. ყველა ადგილობრივი კლანი ერთად მუშაობს. მათ წინააღმდეგ მოქმედება უბრალოდ შეუძლებელი გახდა. სააკაშვილი არ მიდის უკრაინიდან და შეინარჩუნებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. თქვენ მალე გაიგებთ ამის შესახებ, – აღნიშნავს საყვარელიძე.

უკრაინაში ხედავს ყოფილი პრეზიდენტის მომავალს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელიც. ის ვარაუდობს, რომ სააკაშვილი მეგობარ ქვეყანაში ოპოზიციურ ფრონტს გააჩაღებს.

– ვინც თვალს ადევნებდა ბოლო წლებში ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობაზე სააკაშვილის მუშაობას, ყველა ნახავდა, თუ რამდენი ბრძოლა იყო კორუფციის და კრიმინალის წინააღმდეგ. ალბათ ამ ეტაპზე იქ მეტ მნიშვნელოვანს ვეღარ გააკეთებდა.

თავად სააკაშვილმაც თქვა, რომ ის ოპოზიციურ ბრძოლას აგრძელებს. მე მასთან გეგმებზე არ მისაუბრია, მაგრამ ის იწყებს ძალიან დიდ მოძრაობას. როგორც იცით. დაფუძნდა ორგანიზაციაც და იყო საუბარი პარტიის შექმნაზე, დანარჩენზე ალბათ თავად ისაუბრებს ყველაფერზე, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

ექსპრეზიდენტის გადაწყვეტილება დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა დავით დარჩიაშვილისთვის. დეპუტატი ამბობს, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. მისი თქმით, კიევის მხარდაჭერის გარეშე ოდესაში რეფორმების გატარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

– ზოგადად ჩანს, რომ აქეთ მიდიოდა საქმე. პოლიტიკური მხარდაჭერის და კიევის უშუალო მხარდაჭერის გარეშე ოდესაში რაღაცა რეფორმების დაძვრა ძნელი აღმოჩნდა. აქ საუბარი არის პროცესებში როგორც ოპოზიციური პოლიტიკოსის ჩაბმაზე. ეს შეიძლება არ ნიშნავდეს, რომ დაპირისპირება ექნება ყველასთან, მაგრამ მან გამოხატა უკრაინაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმართ თავისი დამოკიდებულება და აქედან იქნება მისი ნაბიჯებიც გადადგმული, – ამბობს დავით დარჩიაშვილი.

ნაცმოძრაობის კიდევ ერთი წევრი ნუგზარ წიკლაური სააკაშვილის მომავალს უკრაინის რადაში ხედავს. დეპუტატი ვარაუდობს, რომ სააკაშვილი უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.



– მის განცხადებაში ჩანდა, თუ რით არის განპირობებული მიხეილ სააკაშვილის გადადგომა. მთელი რიგი პროექტები, რომლებიც ჩაფიქრებული იყო ოდესაში, ვერ შედგა იმის გამო, რომ ცენტრალური კორუმპირებული ხელისუფლება უკრაინაში ყველაანირად უშლიდა ხელს მსგავსი პროექტების განხორციელებას, რადგან ამ პროექტებს მიიჩნევს მისი კორუმპირებული სისტემისათვის სერიოზულ საფრთხედ.

ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილი დაიწყებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. ეს იქნება ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობა და ვფიქრობ, რომ ის მიიღებს მონაწილეობას უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში ანუ ეს ნაბიჯი ნიშნავს, რომ ის ხდება მთლიანად უკრაინის პოლიტიკური ფიგურა, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში წიკლაურმა.

* * *

რას იზამს სააკაშვილი, ამას მომავალი გვიჩვენებს, ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მას გადადგომა კარგად აქვს დაცდილი.

აღსანიშნავია, რომ პირველად ის თანამდებობიდან იმის გამო გადადგა, რომ შევარდნაძემ კორუფციასთან ბრძოლაში დახმარება არ გაუწია. 2000 წელს ის იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. მინისტრობის დროს ის რამდენიმე კოლეგას დაუპირისპირდა და ერთი წლის თავზე თანამდებობა დატოვა. უსაქმურად დიდხანს არ დარჩენილა. ვაკის მაჟორიტარულ ოლქში რიგგარეშე არჩევნები იყო, იქ იყარა კენჭი და ისევ პარლამენტში დაბრუნდა.

იქიდანაც მალე წავიდა და 2002 წელს სხვა ნაციონალებთან ერთად თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს ის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა.

მორიგი ხმაურიანი გადადგომა სააკაშვილისგან 2007 წლის 8 ნოემბერს ვიხილეთ. 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის მეორე დღეს მან თანამდებობა დატოვა, 2008 წლის 5 იანვარს კი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა. არ არის გამორიცხული, უკრაინაშიც ასევე გაუმართლოს.

უკრაინული მედიის ცნობით, მიხეილ სააკაშვილმა უკვე გადაწყვიტა ახალი პარტიის შექმნა და მას „ტალღა“ დაარქვა.

სანდრა რულოვსი ნაციონალების თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს?

სააკაშვილის მეუღლემ დეპუტატობაზე უარი თქვა

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარის ცოლმა პარტიას მორიგი პრობლემა შეუქმნა. სანდრა ელისაბედ რულოვსმა, რომელიც პარტიის საარჩევნო სიის მეორე ნომერია, პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა.

გუშინ, 7 ნოემბერს, გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სანდრა რულოვსმა ცესკოს საგანგებო განცხადებით მიმართა. ის დეპუტატის მანდატზე უარს ამბობს. ეს ინფორმაცია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც დაადასტურა.

სიის მიღმა დარჩენის სურვილი სააკაშვილის თანამეცხედრემ გასულ კვირასაც გამოთქვა. ამ საკითხზე ის პარტიის ლიდერებს შეხვდა. მაშინ ის ლიდერებმა პარლამენტში შესვლაზე დაიყოლიეს.

სავარაუდოდ, რულოვსმა დეპუტატის მანდატი ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო უარყო. ყოფილი პირველი ლედი ძალიან აღშფოთებულა, როცა გაუგია, რომ პარტიის ნაწილი სააკაშვილის გადადგომას ითხოვდა.

ნაციონალები ცდილობენ ამ საკითხზე კომენტარი არ გააკეთონ. ისინი სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვას ერიდებიან. რულოვსთან დაკავშირებით კი მათ სერიოზული პრეტენზიები აქვთ.

მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის წინ მან არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. როგორც გაირკვა, ეს გადაწყვეტილება პარტიასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

პარლამენტის შესვლაზე უარი მან, სავარაუდოდ, მეუღლესთან კონსულტაციების შემდეგ თქვა. მოასწავებს თუ არა ეს ნაციონალების ნაწილის და სააკაშვილის საბოლოო გამიჯვნას, მალე ვნახავთ.

როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში პარტიაში სააკაშვილს არაფერს უთანხმებდნენ. მან სწორედ ამის გამო გადაწყვიტა, მეუღლე პოლიტიკაში მოეყვანა.

– ბოლო დროს პარტიაში საშინელებები ხდებოდა, სააკაშვილი ვითარებას ვეღარ აკონტროლებდა. გადაწყვეტილებას სხვები ღებულობდნენ. ამ დაჯგუფებამ ყველაფერი გააკეთა, რომ სააკაშვილს თავისი არ გაეტანა. მათ პარტიის თავმჯდომარეს დიდგორის ველზე ყრილობაც კი არ ჩაატარებინეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში პარტიასთან დაახლოებულმა პიროვნებამ.

მისივე თქმით, სააკაშვილმა თანაპარტიელებს ვერც საპროტესტო აქციები დაუწყებინა.

– მიშა ითხოვდა, რომ ქუჩის აქციებით გაეპროტესტებინათ უსამართლობა, ესენი კი აქციებზე უარს ამბობდნენ, აცხადებდნენ, ქუჩაში რომ გავიდეთ, „გრეჩიხები“ კი არ ვართო, – აღნიშნავს ჩვენი წყარო.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, სააკაშვილის ნამდვილმა მხარდამჭერებმა, სანდრა რულოვსის თამადობით, ახალი ნაცმოძრაობა შექმნან.

ასევე არ არის გამორიცხული, სანდრა რულოვსმა პარტიის თავმჯდომარეობისთვის იბრძოლოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „ძალაუფლება კვირიკაშვილის ხელში რეალურად უნდა გადავიდეს“

„ბიძინა ივანიშვილისკენ ხელი აღარავინ უნდა გაიშვიროს“

ნონა ცაბაძე

რამდენიმე დღეში მე-9 მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგება. კადრები შერჩეულია, თანამდებობები – გადანაწილებული. ექსპერტი **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ საკითხზე საუბრობს.

– მე ძალიან ბევრს არ ვიცნობ, ამიტომ პოზიტიურად ან ნეგატიურად ვერ ვიქნები განწყობილი. შეფასებებიც არასწორი იქნება. თუმცა მთლიანობაში, სისტემურად თუ შევხედავთ, სწორია, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარეებად ახალ სახეებს ვხედავთ. ასეთი მოთხოვნილება საზოგადოებაში არსებობდა, – ამბობს ექსპერტი.

– შიგნით სერიოზული დაპირისპირება იყო სწორედ ძველ და ახალ სახეებს შორის. ვერ ინაწილებდნენ საპარლამენტო თანამდებობებს. არ თმობდნენ ძველები პოზიციებს?

– ვის უნდა რომ დათმობა? ადამიანურად ესეც კი გასაგებია. როგორც წესი, პოზიციის დათმობა არავის უნდა. ყველას მიაჩნია, რომ თვითონ არის ყველაზე კარგი და განუმეორებელი. შედეგზე საუბარი ჯერ ადრეა, უკეთესია თუ არა, ჯერ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, თეორიული შანსები იმისა, რომ რაღაცა რეალურად შეიცვლება, გაჩნდა. ეს შედეგი არ არის, მაგრამ ოპტიმიზმის და ახალი იმედების საფუძველს ქმნის.

– თუმცა ისმის კრიტიკა, რომ გამოუცდელები არიან. თუნდაც იგივე პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე. ამაზე რას იტყვით?

– დაგეთანხმებით, ეს პრობლემა ნამდვილად არის. მათ ძალიან სწრაფად მოუწევთ ალღოს აღება ძალიან ბევრი რამისთვის. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი სწორად წარიმართება. მით უმეტეს, რომ პარლამენტი არ არის ის შტო ძალაუფლების, რომელიც ქვეყნის ყოველდღიურ მენეჯმენტში მონაწილეობას იღებს და შეუძლია ამ კუთხით სახელმწიფო სერიოზულად დააზიანოს. აქედან გამომდინარე, სასწაულების მოხდენის მოთხოვნილებაც საზოგადოების მხრიდან არ არის და მე ამასაც მშვიდად შევხვდი. ჯობდა ყოფილიყო მეტი პროფესიონალიზმი, მაგრამ ეს მოცემულობაა. იმას, რომ იგივე სახეები დარჩენილიყვნენ, ეს ნამდვილად ჯობია!

– ვრცელდება ინფორმაციები, რომ ყველა კანდიდატურა ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით არის შერჩეული. რამდენად ერევა ივანიშვილი ამ დეტალებში?

– მე კი მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ სიის შედგენაშიც კი ნაკლებად ერეოდა. ბიძინა ივანიშვილი სისტემურად უყურებს პროცესს. მისთვის საპარლამენტო სიის დაკომპლექტებასაც მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– აბა რას ჰქონდა მნიშვნელობა?

– მისთვის მთავარი იყო, რომ მთლიანობაში სურათი დამჯდარიყო ისეთი, რომ კონტროლი ყოფილიყო შენარჩუნებული. კონკრეტული სახელები და გვარები, არა მგონია, რომ მისი ინტერესის სფეროში ყოფილიყო. სისტემურად კი ის ამ ყველაფერს შორიდან უყურებდა.

„ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების ერთადერთ ალტერნატივად არის დანიშნული“

– არც მთავრობის დაკომპლექტებაში ჩაერევა?

– ეს უფრო ფუნდამენტური და სერიოზული თემაა. ჩვენ უნდა გაგვიჩნდეს განცდა, რომ გადავედით ინსტიტუციურ მართვაზე. ინსტიტუციური მართვის საკითხი არის ერთ-ერთი ფუნდამენტი დემოკრატიული საზოგადოების.

– რისი თქმა გსურთ?

– მე ვგულისხმობ იმას, რომ კვირიკაშვილი თუ იქნება პრემიერ-მინისტრი, ის უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ გადაწყვეტილებები მიიღება მინისტრთა კაბინეტში და, ხაზს ვუსვამ, პასუხისმგებელიც ის არის ყველა გადაწყვეტილებაზე.

– დღეს ასე არ არის? რატომ უსვამთ ამას ხაზს?

– დღეს ასეა თუ არა, ჩვენ არ ვიცით. პრობლემა გახლავთ ის, თუ როგორი აღქმაა საზოგადოებაში. სამწუხაროდ, დღემდე არის საზოგადოებაში განცდა, რომ ძალაუფლება დევს სადღაც სხვაგან. ეს განცდა უნდა გაქრეს საზოგადოებაში. თუ ეს განცდა არ გაქრა, ჩვენ ვიქნებით მუდმივ პრობლემებში. ეს ბიძინა ივანიშვილის მიმართ უსამართლობაა.

– რატომ?

– დარწმუნებული ვარ, რომ ის ყველა გადაწყვეტილებაში ნამდვილად არ ერევა. ეს არ შედის მისი ინტერესის სფეროში, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი ბრალდება მას. ეს მისთვისაც ცუდია. მე ვფიქრობ, მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტების პროცესი ჩვენ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მოხდეს ტესტირება რეალური ვითარების – სად არის დღეს რეალური სახელმწიფო. ინსტიტუტები მართავენ ქართულ სახელმწიფოს, თუ სხვა რაღაცა გვჭირს?! მთავრობის დაკომპლექტების საკითხი ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემს.

– როგორც ითქვა, ახალი მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება ორ კვირაში დასრულდება. ცნობილია ისიც, რომ პრემიერ-მინისტრი არ შეიცვლება. მინისტრების ცვლილებებზე კი მიდის საუბარი. ვის მოუწევს მინისტრის პოსტის დატოვება?

– არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სახელებს და გვარებს. მთავარი გახლავთ ის, რომ ეს იყოს კვირიკაშვილის დაკომპლექტებული მთავრობა. ყველას უნდა გაგვიჩნდეს იმის განცდა, რომ ეს არის მისი გუნდი და ის და მისი გუნდია პასუხისმგებელი ყველა იმ პროცესზე, რაც ქვეყანაში განვითარდება.

მთავრობა გახლავთ სოლიდარული პასუხისმგებლობის სისტემა და პრემიერის თავის ტკივილია და მისი პასუხისმგებლობის ზონა უნდა იყოს ამა თუ იმ მინისტრის საკითხი. რაღაც რომ მოხდება და საზოგადოების უკმაყოფილება რომ ჩამოყალიბდეს რომელიმე მიმართულებით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის უნდა მოვკითხოთ.

სოლოლაკში კი არ უნდა დარბოდნენ, როგორც დარბიან დღეს ვიღაცები პრეტენზიების გამოსახატად, არამედ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი პრეტენზიის ცენტრი არის სახელმწიფო კანცელარია და არსად სხვაგან ძალაუფლება არ დევს. ეს არის ფუნდამენტური საკითხი.

– შეძლებს ამას კვირიკაშვილი?

– სიმართლე გითხრათ, არ ვარ ოპტიმისტი ამ მიმართულებით, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია როგორც კვირიკაშვილის, ასევე ბიძინა ივანიშვილისთვისაც. ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოახერხოს ის, რომ მისდამი აპელირება შეწყდეს, ხშირ შემთხვევაში უსამართლო. ჩვენ უნდა გაგვიჩნდეს განცდა, რომ კვირიკაშვილია რეალური ძალაუფლების მფლობელი ამ ქვეყანაში. ქვეყანა ვერ განვითარდება ისე, თუ ჩვენ არ გადავედით ინსტიტუციურ მართვაზე.

– საუბარია, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილმა სრულიად ახალი თამაში წამოიწყო. ითქვა, რომ ის ახალი ცენტრის შექმნას აპირებს, რადგან მან კარგად იცის, რომ ორი ვადის ამოწურვის შემდეგ, „ქართული ოცნების“ შანსები შემცირდება. ოპოზიციურ ფლანგზე დაწყებული პროცესები, პარტიების შლა, ახალი პოლიტიკური ცენტრის დაანონსება კავშირშია ბიძინა ივანიშვილის სამომავლო გეგმებთან?

– მე ასე არ ვფიქრობ. არც ის მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ასე ფიქრობდეს. ის არ არის იმ ტიპის ადამიანი, რომელიც ასეთ თამაშს ეწევა. „ქართული ოცნება“ არის მისი შვილი და თავის შვილს ოპოზიციას არავინ უქმნის. ამ ეტაპზე ამის ვერანაირ ნიშნებს ვერ ვხედავ და მგონია, რომ ეს ყველაფერი არის შეთქმულების თეორია.

სხვა საკითხია ის პროცესი, რომელიც წავიდა – ეს არ არის ის, რაც მან მიიღო და ქვეყანამ მიიღო, არ არის ის, რა მოლოდინებიც ჰქონდათ და რისთვისაც იბრძოდნენ.

– რას გულისხმობთ?

– იყო მოლოდინი და სურვილი იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა მაქსიმალურად დაესუსტებინათ, ან საერთოდ გაეყვანათ თამაშიდან. ნაცვლად ამისა, ფაქტობრივად, „ქართულმა ოცნებამ“, თავისი საარჩევნო კამპანიით და ალბათ ბიძინა ივანიშვილმა, აქ დაუშვეს სერიოზული შეცდომები. ყველაფერი გააკეთეს, რომ არათუ არ გაეყვანათ ნაციონალური მოძრაობა თამაშიდან, არამედ მაქსიმალურად გაემაგრებინათ.

ამის ორი ინდიკატორი არსებობს. პირველი ის, რომ ნაცმოძრაობა დარჩა ერთადერთ და განუმეორებელ უმცირესობად საპარლამენტო ცხოვრებაში და მეორე გახლავთ ის, რომ პრაქტიკულად მოუსუფთავა „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური ველი. ანუ კონკურენტი აღარ დაუტოვა ოპოზიციაში. ეს ნიშნავს, რომ დანიშნულია დღეს უკვე ნაციონალური მოძრაობა ერთადერთ ალტერნატივად არსებული ხელისუფლების.

– საუბარია, რომ ეს ხელოვნური პროცესი იყო.

– მე არა მგონია, რომ ეს უნდოდათ. უნდოდათ ერთი და გამოუვიდათ ამის საწინააღმდეგო. რაოდენობას უმცირესობისას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ადრე 40 კაცი იყო და ახლა 27, ეს არაფერს ნიშნავს. 40 რომ იყვნენ, მაშინ ოპოზიციურ ფლანგზე მათ ჰყავდათ კონკურენტები. დღეს კონკურენტები არ ჰყავთ, მთლიანად დაინგრა მთელი პოლიტიკური ელიტა და ნაციონალურ მოძრაობას აქვს მაქსიმალური კომფორტი!

რატომ არ სურს მანანა კობახიძეს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეობა?

გია ვოლსკი ადასტურებს, რომ „არის რაღაც პირადი მომენტები“, რის გამოც მანანა კობახიძეს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეობა არ სურს.

თუმცა, ვოლსკი არ ადასტურებს ინფორმაციას, რომლის მიხედვით, კობახიძე „ქართული ოცნების“ შეთავაზებას ახალ თანამდებობასთან დაკავშირებით უარყოფითად შეხვდა და ამასთან დაკავშირებით პროტესტი პოლიტსაბჭოს სხდომაზე გამოხატა.

– ის, რომ მანანა კობახიძემ რაიმე პროტესტი გამოხატა, ეს ინფორმაცია მცდარია და რეალობას არ შეესაბამება. მანანა პიროვნულად არ არის იმ დონის, რომ მას თანამდებობაზე ჰქონდეს გართულება.

მანანა კობახიძემ ხაზი გაუსვა, რომ ის ადამიანის უფლებათა დამცველი ყოველთვის იყო და ნებისმიერი პოზიციიდან, თუნდაც პარლამენტის წევრის პოზიციიდან, რაც ისედაც მაღალი წოდებაა, შეუძლია ამ თემას ემსახუროს. რაც შეეხება კომიტეტის თავმჯდომარეობას და პოზიციის დაკავებას, არის რაღაც პირადი მომენტები, რაზეც შეიძლება მას თავისი აზრი ჰქონდეს და რის გამოც არ უნდა კომიტეტის თავმჯდომარეობა, – განუცხადა ვოლსკიმ ინტერპრესნიუსს.

კითხვაზე, რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს კობახიძის უარი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებაზე პატიმრების თემასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას, ვოლსკიმ განაცხადა, რომ „შესაძლოა, რომ მას ასეთი არგუმენტაცია ჰქონოდა“.

– მანანა კობახიძე სწორედ რომ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის პოზიციიდან საუბრობს. მე პირდაპირ ვერ დავადასტურებ, რომ მისი არგუმენტი სწორედ ეს არის, მაგრამ, შესაძლოა, ესეც არის, – განუცხადა ვოლსკიმ ინტერპრესნიუსს.

ერთ-ერთი ინფორმირებული წყაროს ცნობით, მანანა კობახიძეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებისგან თავს იმ მოტივით იკავებს, რომ მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ხელს აძლევს პირებს, რომლებიც მის წინააღმდეგ ცილისწამებით არიან დაკავებული და „პატიმრებისგან ფულის აღების“ ბრალდებით მისი სახელის დისკრედიტირება სურთ.

– მოგეხსენებათ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ის ადგილია, რომელსაც პატიმრებთან აქვს შეხება. კობახიძე მიიჩნევს, რომ კომიტეტის თავმჯდომარედ მისი დანიშვნით ადამიანთა ამ ჯგუფს, რომლებიც მას ცილს სწამებენ, მეტი სალაპარაკო და ცილისწამების მეტი შესაძლებლობა მიეცემათ, – განუცხადეს ინტერპრესნიუსს.

ერაყში პანკისელი მუჰამად ხანგოშვილი დაიღუპა

ერაყში საქართველოს მოქალაქე, პანკისის ხეობის მკვიდრი მუჰამად ხანგოშვილი დაიღუპა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პანკისის ხეობიდან აცნობეს.

წყაროს ინფორმაციით, 22 წლის ხანგოშვილი პანკისის ხეობის სოფელ დუისის მკვიდრი იყო.

ის ისლამური სახელმწიფოს წევრი და დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის, დაღუპულ თარხან ბათირაშვილის (უმარ ალ-შიშანის) პირადი მცველი იყო. როგორც წყარო აღნიშნავს, მუჰამად ხანგოშვილი ერაყის ქალაქ მოსულში ავიადარტყმის დროს გარდაიცვალა.

ამჟამად ერაყის არმია მოსულზე მასშტაბურ შეტევით ოპერაციას ახორციელებს. ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა მოსულის ისლამური სახელმწიფოსგან გათავისუფლების ოპერაცია რამდენიმე კვირის წინ დაიწყეს.

დაჯგუფება ერაყის სიდიდით მეორე ქალაქს 2014 წლიდან აკონტროლებს.

გიორგი კვირიკაშვილი: „ცვლილება ძალოვან მინისტრებს არ შეეხებათ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობაში ცვლილება ძალოვან მინისტრებს არ შეეხებათ.

ამასთან, როგორც კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მინისტრთა კაბინეტში ახალი სახეებიც იქნებიან.

– რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებებს, რამდენიმე ცვლილება იქნება. იქნებიან ახალი სახეებიც, თუმცა ამის შესახებ უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. მეტი კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ირაკლი სესიაშვილი: „იზორიამ სწორი ნაბიჯით დაიწყო“

„ჯარში გაწვევა ადრე თუ გვიან გასაუქმებელი იქნება“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას გადაწყვეტილება, სამხედრო სავალდებულო სამსახურის აღდგენასთან დაკავშირებით, არის სწორი დასაწყისი.

– ბატონო ირაკლი, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ მისი წინამორბედის, თინა ხიდაშელის განკარგულება სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გაუქმების შესახებ გააუქმა. თავის დროზე თქვენ ეწინააღმდეგებოდით ჯარში გაწვევის გაუქმებას. დღეს როგორია თქვენი პოზიცია?

– ეს არის დასაწყისი და ვთვლი, რომ სწორი დასაწყისია. დღესაც ვთვლი, რომ ამ სისტემის რეფორმა იყო საჭირო და არა – მისი სრული გაუქმება. შემდეგში აუცილებლად მოგვიწევს ყველა იმ უწყებასთან ერთად მუშაობა, რომლებიც ასევე იწვევენ წვევამდელებს. გაწვევის სისტემა არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს. ეს არის მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების ნაწილი. წვევამდელები მიდიან სასჯელაღსრულებაში, შს სამინისტროში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ სისტემის რეფორმა იყო საჭირო. რა მიმართულებით იგეგმება რეფორმა?

– პირველი და უმთავრესი არის ის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სამხედრო სარეზერვო სამსახური ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ამისთვის უნდა არსებობდეს ადეკვატური რესურსი. ასევე, ის დისკომფორტი, რაც წვევამდელებს აქვთ, უნდა მოიხსნას. ამისთვის, მაგალითად, შეთავაზებული უქმე დღეები ძალიან სწორი და ნორმალურია.

მინისტრმა თქვა, რომ წვევამდელები გაივლიან ზუსტად იმ სამხედრო მომზადებას, რომელსაც გადიან საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები, რაც მათ სრულფასოვან ჯარისკაცებად აქცევს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ჩვენ დავუბრუნდებით თემას და განვიხილავთ იმ წვევამდელების შესაბამის ადეკვატურ მომზადებას, რომლებიც სამხედრო სავალდებულო სამსახურს სხვა უწყებებში გადიან და ამით ასევე კომპლექსურად მოხდება რეზერვის სისტემასთან საერთო მიდგომის ჩამოყალიბება.

– ახალი სტრატეგია, ახალი დოკუმენტია შესამუშავებელი?

– დიახ. ეს მოითხოვს შეთანხმებას უწყებებს შორის და ეს მოითხოვს კომპლექსურ ხედვას.

– ოპოზიციაში გაუაზრებელს და ნაჩქარევს უწოდებენ იზორიას ამ გადაწყვეტილებას, ამბობენ, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახური საბჭოური სისტემა და უკან დაბრუნებაა. რას უპასუხებთ იმ ადამიანებს, ვინც ასე ფიქრობს?

– ასე ფიქრობდნენ ლიტველებიც, რომლებმაც ეს სისტემა თავის დროზე გააუქმეს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ აღადგინეს. ლიტველები მიხვდნენ, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახური საჭიროა ქვეყნისთვის, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპისთვის მაინც. მეც ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ეს სისტემა გასაუქმებელი იქნება, მაგრამ რამდენადაც თავდაცვის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სამხედრო-სარეზერვო სამსახურია, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გვჭირდება ის რესურსი, რომლითაც სამხედრო-სარეზერვო სამსახურს დავაკომპლექტებთ.

მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სამხედრო-სავალდებულო სამსახური ერთ-ერთი კარგი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ სწორედ წვევამდელები, რომლებიც გაივლიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურს, შემდეგ სარეზერვო სამსახურში ჩავრთოთ.

ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი ტიპის სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად შერეული იქნება, რომელიც, ერთი მხრივ, ვალდებულებაზე იქნება დაფუძნებული, მეორე მხრივ კი სარეზერვო სამხედრო სამსახურის ხასიათი ექნება. უფრო მეტად აქეთკენ უნდა იყოს კონცენტრირებული.

– ლევან იზორია კატეგორიული წინააღმდეგია სამხედრო ფლოტის, რადგან მისი შენახვა კოლოსალურ თანხებს უკავშირდება. თქვენი პოზიცია როგორია, უნდა გვქონდეს თუ არა სამხედრო ფლოტი?

– სამხედრო ფლოტი, რა თქმა უნდა, ქვეყანას სჭირდება. ამაზე ყველა ვთანხმდებით, მაგრამ ქვეყნის სრულყოფილ უსაფრთხოებას ასევე სჭირდება საჰაერო დაცვა, ავიაცია, სარაკეტო სისტემებიც და ა.შ., მაგრამ რამდენად გვაქვს ადეკვატური რესურსი, შესაძლებლობა, ეს მეორე საკითხია. ჩვენ შესაძლებლობებიდან უნდა გამოვიდეთ ამ შემთხვევაში და არა იქიდან, თუ რა გვინდა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვიფიქროთ კომპლექსურ თავდაცვისუნარიანობასა და მის განვითარებაზე.

– შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების დაცვის ოპერაციაში, რომელიც ნატოს ეგიდით იქნება, რამდენად სათანადოდ არის საქართველო ჩართული?

– ეს არის რეგიონალური გამოწვევები და მთელ ამ პროცესში საქართველო არის ჩართული. ეს საკითხები თავის დროზე განისაზღვრა, ასევე ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ნატოს სამიტზე. ეს გამოწვევები უკავშირდება ნატოს, საითკენაც ჩვენ მივისწრაფით. მომავალში ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ნატოს ფარგლებში ჩვენ გვექნება ერთიანი ხედვა ჰაერის, ზღვისა და ხმელეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

– და ბოლოს, ბატონო ირაკლი, ისევ თქვენ უხელმძღვანელებთ მე-9 მოწვევის პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს?

– დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია.

თინა ხიდაშელი ლევან იზორიას: „ჩემი გადადგომის პირველივე დღეს იცოდით, რომ გაწვევას დააბრუნებდით, მაგრამ საარჩევნოდ შეგეშინდათ“

არჩილ გამზარდია: „ძალიან უსიამოვნოა, რომ მსგავს თემებს ხელისუფლება საზოგადოების აზრის სრული უკუგდებით იღებს“

თავდაცვის სამინისტრო სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას აღადგენს.

შესაბამისი განცხადება მედიასთან გუშინდელ შეხვედრაზე თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გააკეთა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენიმეთვიანი კონსულტაციების შედეგად იქნა მიღებული.

– მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავალდებულო სამხედრო სამსახურის განახლებული ფორმით აღდგენა. კერძოდ, წვევამდელები გაივლიან სრულფასოვან საწყის მომზადებას და ჩამოყალიბდებიან როგორც სრულყოფილი სამხედრო მოსამსახურეები. სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელების ანაზღაურება გაიზრდება 50 ლარამდე, ასევე მათ ექნებათ უქმე დღეებით სარგებლობის საშუალება, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, განახლებული სავალდებულო-სამხედრო სამსახური უზრუნველყოფს ხარჯების ეკონომიურობას, წვევამდელების სისტემით პროფესიული კომპონენტის მხარდაჭერას და მეტი პერსონალის მომზადებას როგორც რეზერვისთვის, ისე საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისთვის.

– ამასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახური ხელს შეუწყობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, – ნათქვამია ლევან იზორიას მიერ მინისტრის თანამდებობაზე გაწეული საქმიანობის ანგარიშში.

როგორც ცნობილია, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრ თინა ხიდაშელის მიერ 27 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტრომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა შეაჩერა.

* * *

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია ამ ეტაპზე სავალდებულო ჯარის დაბრუნებას არ მიესალმება და მიაჩნია, რომ საქართველოს მაღალმოტივირებული მებრძოლები სჭირდება, რაც დღევანდელი მოცემულობით შეუძლებელია, გვქონდეს.

– ეს შეიძლება მოხდეს საკონტრაქტო სისტემის მეშვეობით ან თავდაცვის სისტემის გამართვისა და განვითარების შემდეგ შექმნილი სავალდებულო ჯარით – უფასო ყარაული ჯარი არაა და ამგვარი ჯარის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა არა თუ ბრძოლას, არამედ თავდაცვასაც კი ვერ შეძლებს, დღემდე გვაქვს ჯარში თვითმკვლელობების ინსცენირების შემთხვევები, დღემდე გვაქვს კვების პრობლემა, „უცნაური“ შემთხვევები ტრაგიკული შედეგებით და ა.შ. ძალიან ბევრი მიზეზია ამის საწინააღმდეგოდ, – აცხადებს გამზარდია.

მისი აზრით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისიც არის, რომ არ შეიძლება თავდაცვის სამინისტრო არც მინისტრებს იცვლიდეს ხშირად, არც წესებს ცვლიდეს ხშირად, არც წინა მინისტრების გადაწყვეტილებების უპატივცემულობას ასწავლიდეს სამხედროებს და ა.შ.

– ჩემთვის ძალიან უსიამოვნოა, რომ მსგავს თემებს ხელისუფლება საზოგადოებრივი კონსულტაციებისა და საზოგადოების აზრის სრული უკუგდებით იღებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მსგავსი პრეცედენტები, რაც ბოლო პერიოდში უკვე გამოჩნდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ შეკრებილა ახალი პარლამენტი და არ დამტკიცებულა ახალი მინისტრთა კაბინეტი, სამწუხარო წინასწარგანწყობას გვიქმნის განახლებული ხელისუფლების ბუნებისა და პერსპექტივების მიმართ.

კიდევ ერთხელ ვთხოვ „ქართულ ოცნებას“, თავი შეიკავოს ხისტი და უხეში ნაუცბათევი გადაწყვეტილებების მიღებისგან და მეტად იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივ ჩართულობასა და გადაწყვეტილებების საერთო კონსენსუსით მიღებაზე, – აცხადებს გამზარდია.

* * *

თავდაცვის სამინისტროს მიერ სავალდებულო სამხედრო გაწვევის აღდგენის საკითხს უწყების ყოფილი ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი გუშინვე გამოეხმაურა.

ხიდაშელი ფეისბუკპოსტში ვრცლად მიმოიხილავს იმ მიზეზებს, თუ რატომ გააუქმა თავის დროზე გაწვევა და მინისტრის გადაწყვეტილებას წვევამდელებზე ძალადობად აფასებს:

თავდაცვის მინისტრმა აღადგინა სამხედრო სავალდებულო სამსახური შეიარაღებულ ძალებში.

ყველაზე მთავარი:

1. ქვეყნის უსაფრთხოებაზე საუბრისას „უფრო ეკონომიურია“ ძალიან სუსტი და არასერიოზული არგუმენტია;

2. ფინანსური ციკლი კონტრაქტის ვადით ითვლება და 4 წლის პერსპექტივაში, მით უფრო თუ სრულ სამხედრო მომზადებაზე გადავიყვანთ წვევამდელებს, არ არის „უფრო ეკონომიური“, უფრო უშედეგო კი ნამდვილად არის.

3. გაწვევის იმ ფორმას, რომელიც საქართველოში მოქმედებს, რამდენიმე ფუნდამენტური, დემოკრატიულ სახელმწიფოსთან არათავსებადი პრობლემა აქვს ჩვენში:

– ის სუბიექტურია და სოციალურად უსამართლო;

– ის ადამიანის შრომის გამოყენებას გულისხმობს ანაზღაურების გარეშე;

– ის ახალგაზრდის იძულებაზეა დაფუძნებული, შესაბამისად, სახელმწიფოს მოძალადედ აქცევს;

– ის არ აძლევს ახალგაზრდას შესაძლებლობას, დაგეგმოს მისი მომავალი;

– ის სახელმწიფო სახსრებს მიმართავს ღონისძიებისთვის, რომელსაც სახელმწიფოს/ საზოგადოების ინტერესებისთვის შედეგი არ მოაქვს; უბრალოდ, ფლანგავს საბიუჯეტო რესურსს;

– ქმნის თავდაცვის შემძლეთა რაოდენობრივ ილუზიას, შესაბამისად, ასუსტებს საფრთხის გამკლავების სახელმწიფოს უნარებს.

სინამდვილეში რა უნდა გაკეთდეს:

– „ტოტალური თავდაცვა“ ახსენა მინისტრმა. ტოტალური თავდაცვა ასევე ტოტალურად გაზრდილ თავდაცვის ბიუჯეტს ნიშნავს (შეგახსენებთ, მინისტრმა იზორიამ მინისტრობა 5 მილიონიანი კლებით დაიწყო. ეს მისი სულ პირველი ნაბიჯი იყო);

– თუ ბიუჯეტს ვერ ზრდი, იმ თანხით, რომელიც გაქვს, პროფესიული ხიშტი უნდა გაამრავლო და ყველა სხვა ხარჯს უბრალოდ უნდა დაემშვიდობო;

– თუ გაწვევის აღდგენას გეგმავ, 12 ლარიდან 50 ლარამდე გაგიზრდით ანაზღაურებასო კი არ უნდა უთხრათ ახალგაზრდებს, საკანონმდებლო ცვლილებები უნდა გააცნო, როგორ მოაგვარებთ მათ პრობლემებს.

ეს 2016 წლის საქართველოა:

– ადამიანებს სამსახურის შოვნა უჭირთ და თუ პოულობენ, მასთან განშორება სიკვდილის ტოლფასია – თქვენ აიძულებთ ახალგაზრდებს, ძლივს ნაშოვნ სამსახურს დაემშვიდობონ 50 ლარად;

– ახალგაზრდებს კრედიტები აქვთ, რომელთაც იმ ახლად ნაშოვნი სამსახურით ფარავენ – თქვენ აიძულებთ მათ უპერსპექტივო ვალის, მუდმივად მზარდი პროცენტის და დაკარგული სამსახურის პირისპირ დადგნენ;

– სავალდებულო სამსახურისთვის თავის აცილების მიზნით, ახალგაზრდები არ ამთავრებენ სასწავლებლებს, გამოცდას იტოვებენ, კურსზე რჩებიან – თქვენ ართმევთ მათ ნორმალური, ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობას;

– ჯარში სუიციდი, თვითკვლელობის მცდელობა მაღალია და ის ექსკლუზიურად წვევამდელებშია მაღალი. ამას მიზეზი აქვს. თქვენ შეგიძლიათ თვალი დახუჭოთ ამ მიზეზებზე, არ დაინახოთ, არავის მოუსმინოთ. ჩვენ, დანარჩენ საზოგადოებას, იმედი მაქვს, არა.

– თქვენ ატყუებთ საზოგადოებას, რომ 2-3 თვეში შესაძლებელია სრულყოფილი სამხედრო მომზადება, რომლის შედეგადაც ქვეყანა მიიღებს სრულფასოვან, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი პასუხის შემძლე სამხედროს;

– თქვენ ფლანგავთ ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს გაწვევის სისტემის შენარჩუნებით;

– თქვენ უკლავთ დასაქმების პერსპექტივას იმ ახალგაზრდებს, ვისაც ჯარში მსახური საკუთარი განვითარების, კარიერის, ქვეყნის სამსახურის მთავარ ამოცანად აქვთ დასახული;

– თქვენ უბრალოდ მოატყუეთ საზოგადოება, ვინაიდან ჩემი გადადგომის პირველივე დღეს ზუსტად იცოდით, რომ გაწვევას დაბრუნებდით, მაგრამ საარჩევნოდ შეგეშინდათ;

– სამშენებლო კომპანია ტომრების ზიდვაში, დაცვაში დგომისთვის ხელფასს იხდის, სახელმწიფო არა!!! სახელი თავად დაარქვით!

– დღეს 7 ნოემბერია, მოსახლეობაზე უპრეცედენტო ძალადობის მორიგი წლისთავი. ძალადობა მხოლოდ მასობრივი ცემით არ ხდება!

უფრო კონკრეტულად, დღეს ნათქვამზე:

1. არ არის სწორი აზრი იმის შესახებ, რომ ეს ჩემს ჯინაზე გააკეთა. სამწუხაროდ, ის და დღევანდელი ხელისუფლების აბსოლუტური უმრავლესობა ასე ფიქრობს, ასე სჯერათ და გულწრფელი არიან ამ გადაწყვეტილებაში. სწორედ ეს არის პრობლემაც.

2. სამი რამ გვითხრა მინისტრმა: კვირაობით სახლში გავუშვებთო, 50 ლარამდე გავზრდით ანაზღაურებასო და სრულ სამხედრო მომზადებას გაივლიანო.

ეს კი ნიშნავს, რომ

2.1. მსახურების ადგილსა და საცხოვრებელს შორის მანძილის შესაბამისად, 50 ლარი სავარაუდოდ გზის ფულადაც არ არის საკმარისი, თუკი ყოველ შაბათ-კვირას სახლში ივლიან ახალგაზრდები;

2.2. საუბარი იმაზე, რომ უფრო ეკონომიურია გაწვევა (ამაზე ცოტა მოგვიანებით), იქვე დასრულდა, სრული სამხედრო მომზადება ნიშნავს, რომ ხარჯებიც გაიზრდება;

2.3. თავისთავად გაწვევის არსებობა რომ უფრო ეკონომიურია ქვეყნისთვის, ხაზგასმით და ცალსახად მხოლოდ იმიტომ შეიძლება იძახონ, რომ ხელფასს არ უხდით ახალგაზრდებს შრომაში, რომელსაც სახელმწიფო იღებს მათგან.

ვახტანგ აბაშიძეს ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს

როგორია შრომის ანაზღაურება სახელმწიფო დაწესებულებებში

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რეგიონში არსებული სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობის მონიტორინგი, თანამდებობის პირთა მიერ საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებზე დაყრდნობით განახორციელა.

საოლქო პროკურორთან შედარებით დაახლოებით 2,7-ჯერ ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ რაიონული პროკურორები. მაგალითისთვის, თელავის პროკურორის ირაკლი ჩაჩანიძის მიერ 2015 წელს მიღებული შემოსავალი მხოლოდ 37.085 ლარი იყო.

ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა ინფორმაცია საოლქო და რაიონული პროკურორების მოადგილეების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მათ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება არ ეკისრებათ.

წელიწადში საშუალოდ 75.600 ლარს შეადგენს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეების შრომის ანაზღაურება. მაგალითად, თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა წიკლაურის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობა 2015 წლის განმავლობაში 75.619 ლარი იყო, ხოლო ირაკლი ბონდარენკოსი, რომელიც სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, 75.531 ლარი.

კანონის თანახმად, რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური ხელფასი 4.600 ლარია, მოსამართლეებისა კი – 4.000 ლარი.

73.750 ლარს შეადგენდა კახეთის რეგიონში ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილის წლიური შრომითი გასამრჯელო. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 იანვრის დადგენილების შესაბამისად, გუბერნატორის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 5.900 ლარით არის განსაზღვრული (.2950 ლარის ოდენობის ხელფასი და იმავე ოდენობით ყოველთვიური დანამატი).

შედარებისთვის: საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წლიური ანაზღაურება 82.800 ლარს შეადგენს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისა კი – 80.000 ლარს.

2015 წელს მხოლოდ 51.000 ლარი შეადგინა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა. ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ქონებრივი დეკლარაცია ჯერჯერობით არ წარუდგენია.

საქართველოს მთავრობის წევრების, მინისტრების მიერ თანამდებობრივი საქმიანობის გამო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი დაახლოებით 75.000 ლარია.

საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალ ანაზღაურებას მარეგულირებელი კომისიების თავმჯდომარეები და წევრები იღებენ.

მაგალითად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძის შრომის ანაზღაურების ოდენობამ 255.425 ლარი შეადგინა, ამავე კომისიის წევრის კახა ბექაურისა – 242.685 ლარი; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ირინა მილორავას წლიური გასამრჯელო 147.750 ლარი იყო, იმავე კომისიის წევრ გოჩა შონიასი კი – 146.550 ლარი.

ბოლო დეკლარაციის მიხედვით, 154.485 ლარის ოდენობით ანაზღაურება მიიღო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, ხოლო ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ – 150.000 ლარი.

2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში სრულწლოვანი, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 157,3 ლარს შეადგენს.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში 100 ლარზე დაბალი ხელფასი აქვს 25.001 ადამიანს, საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასი 62.681-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმზე დაბალი კი – 130.282 ადამიანს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

რა ქონების მფლობელია საპარლამენტო უმრავლესობის მომავალი ლიდერი არჩილ თალაკვაძე

მე-9 მოწვევის პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე იქნება.

ბიზნესპრესნიუსი დაინტერესდა თუ რა ქონებას ფლობს სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ყოფილი მოადგილე.

თალაკვაძის ბოლო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, რომელიც 2015 წლის 2 ოქტომბერს აქვს შევსებული, 2014 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თალაკვაძის შემოსავალმა 98.619.89 ლარი შეადგინა. აქედან 89.495.21 ლარი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილის, ხოლო 9.124.68 ლარი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე აქვს მიღებული.

დეკლარაციის შევსების პერიოდში, თალაკვაძეს სახელფასო ანგარიშზე 7.080.67 ლარი, ხოლო საკრედიტოზე 148.67 ლარი ჰქონდა.

უძრავი ქონების სახით კი, საპარლამენტო უმრავლესობის მომავალი ლიდერის საკუთრებაშია 109.90 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, ნუცუბიძის მესამე მიკრო-რაიონში.

დეკლარაციის მიხედვით, მას ეკუთვნის ასევე მოტოსატრანსპორტო საშუალება ჰარლეი დევიდსონი.

არჩილ თალაკვაძის სახელზეა რეგისტრირებული რამდენიმე სესხიც.

კერძოდ, თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი 72.000 დოლარის ოდენობით, რომლის გასავალმაც 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 10.037.96 დოლარი შეადგინა; 5.100 ლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხი და 10.410 ლარიანი საკრედიტო ბარათი, რომლის შედეგადაც 2014 წლის გასავალმა 10.200 ლარი შეადგინა.

არჩილ თალაკვაძეს ჰყავს მეუღლე და 2 შვილი. აღსანიშნავია, რომ დეკლარაციის შევსების დროს, მისი მეუღლის ქეთევან ბუბუტეიშვილის ანგარიშზე არანაირი ქონება არ არის რეგისტრირებული.

თაია არდოტელი, ბიპიენი

როგორ შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ „ტრიუმფალური გამარჯვება“ ლარის კატასტროფული კურსის ფონზე?

ფრანგული რადიომიმოხილვა ქართული ეკონომიკის შესახებ

– ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, კურსის მკვეთრი ვარდნა ადასტურებს, თუ როგორი გამოწვევა ელოდება მმართველ პარტია „ქართული ოცნებას“ პარლამენტის არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების ფონზე, – აღნიშნულია ფრანგულ რადიომიმოხილვაში, რომლის მთავარ თემას საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს.

პუბლიკაციაში მიმოხილულია ლარის კურსის რყევის ამპლიტუდა, რომლის თანახმად, ქართული ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება.

– ეს პრობლემა ძალზე მტკივნეულია როგორც მთავრობისათვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისთვისაც რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველი – რადგან ქართული ეკონომიკა ძირითადად იმპორტზეა ორიენტირებული, ეროვნული ვალუტის დევალვაცია ფასების ზრდის;

მეორე – რადგან ბევრი ქართველი ვალებით ცხოვრობს – მათ ბანკებში იპოთეკური სესხები აქვთ აღებული დოლარებში, ისინი ძალიან ზარალდებიან პროცენტების გადახდის დროს. თუ დროულად ვერ შეასრულებენ ფინანსურ ვალდებულებას, ბინების გარეშე დარჩებიან. ისინი ხომ შემოსავლებს ლარით იღებენ, ბანკებს კი ვალი დოლარით უნდა გადაიხადონ.

თბილისში ლარისა და დოლარის კურსის აღმნიშვნელ ბანერებზე მონაცემები ყოველ წუთს იცვლება. ეს ფაქტი სერიოზულად ურტყამს მმართველი პარტიის პრესტიჟს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა.

იბადება კითხვა: როგორ შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ „ტრიუმფალური გამარჯვება“ ლარის კატასტროფული კურსის ფონზე?

პასუხი მარტივია: არჩევნებამდე ქვეყნის ცენტრალური ბანკი, მთავრობის თხოვნით, ყველაფერს აკეთებდა ეროვნული ვალუტის დევალვაციის შესაჩერებლად.

ოპოზიცია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ხაზს უსვამდა, რომ მთავრობა უუნაროა და ამის სადემონსტრაციოდ ლარის კურსის ვარდნაზე მიუთითებდა. და რადგანაც არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირკაშვილი თავის პოსტს შეინარჩუნებს, არავის აქვს ეჭვი, რომ მომხდარში სწორედ ის იქნება დადანაშაულებული.

ოპოზიცია ამ ფაქტორს აქტიურად იყენებს და მოსახლეობას უკიჟინებს, რომ ნეგატიური სიტუაციის შექმნაში სწორედ „თქვენ მიერ არჩეული პარტია“ და მილიარდერი ბიძინა ივანიშვილია პასუხისმგებელიო.

ოპოზიცია მიზანმიმართულად ცდილობს, მოსახლეობას ჩაუნერგოს აზრი, რომ ყველაფერში დამნაშავენი არიან მსხვილი ბანკები, რომლებიც რიგით ადამიანებს „ძარცვავენ“. ამ შემთხვევაშიც სამიზნედ ბიძინა ივანიშვილის ბანკი „ქართუ“ აქვთ მხედველობაში, რომლის დეპოზიტები ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და თან ათჯერ კი არა, ასჯერ და მეტად.

რასაკვირველია, აქ კლიენტების მხრიდან ბანკისადმი ნდობის ფაქტორიც არსებობს, მაგრამ უბრალო ადამიანს, რომელიც ფასების ზრდით არის გაწამებული, ამგვარი ნიუანსები არ აკმაყოფილებს.

* * *

მიმოხილვის ავტორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საქართველოს საბანკო სისტემაში მომხდარ ცვლილებებზე – თიბისი ბანკის მიერ ფრანგული „სოსიეტე ჟენერალის“ ადგილობრივი შვილობილის, ბანკ რესპუბლიკის ყიდვაზე.

ალბათ, „სოსიეტე ჟენერალმა“ ნეგატიური პროცესები შენიშნა და ამიტომ მიატოვა ქართული სივრცე... მართალია, ყიდვის თანხა არ სახელდება, მაგრამ მისი მოცულობა საკმაოდ დიდია.

სამთავრობო ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ ეროვნულ ვალუტაზე სწორედ ამ მსხვილმა ტრანზაქციამ იმოქმედა (თიბისის მიერ რესპუბლიკის ყიდვამ), მაგრამ დამოუკიდებელი ექსპერტები ამბობენ, რომ ლარის დევალვაცია მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებებს უკავშირდება – პრემიების, სოციალური დახმარებების და სხვა ბონუსების გაცემას.

სწორედ ამ დამატებითი ფულის „გადმოყრამ“ იმოქმედა ისედაც დაუძლურებული და ნაკლებად უზრუნველყოფილი ლარის კურსზე, მით უმეტეს, რომ შედარებით მცირე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) პირობებში საქართველოს 13 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი აქვს ზურგზე მოკიდებული.

ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში სისტემური პრობლემა არსებობს, რომელიც საგარეო ბაზრებთანაა დაკავშირებული.

– ეს პრობლემა ჯერ კიდევ არჩევნებამდე გაჩნდა, მაგრამ მთავრობა ცდილობდა, ლარის კურსი ხელოვნურად შეეჩერებინა. არჩევნების შემდეგ კი სიტუაცია თავის ნებაზე მიუშვეს და ახლა ვხედავთ იმას, რაც ხდება. მთავარია, რომ ეს ყველაფერი პანიკაში არ გადაიზარდოს, რადგან თუ ლარისადმი ნდობა გაქრება, მაშინ „ზვავის ეფექტი“ იმოქმედებს. იმედი მაქვს, რომ ლარის კურსი დაბალანსდება, – აცხადებს ექსპერტი.

* * *

კრიზისის ფონზე გაისმის ხმები, რომ ქვეყნიდან უცხოური ვალუტს გატანა უნდა შეიზღუდოს და ცენტრალურმა ბანკმა მსხვილი კერძო ბანკების ტრანზაქციების პირდაპირი რეგულირება დაიწყოს, მაგრამ საეჭვოა, რომ გიორგი კვირიკაშვილის მთავრობა ამ ნაბიჯზე წავიდეს.

იგი თვითონ გამოცდილი ბანკირია და ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის ლიბერალური საბანკო სისტემის არსებობა.

ზოგიერთები ხუმრობენ, რომ მალე საფინანსო წელი დასრულდება, გადასახადების გადახდის დრო მოვა, ლარზე მოთხოვნილება გაიზრდება და ეროვნული ვალუტის კურსი ისევ განმტკიცდება.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ყველა თანხმდება იმაში, რომ კალენდარული წლის დასასრული გრძელვადიან პერიოდში პრობლემებს ვერ მოაგვარებს.

ეკონომიკაში არსებული ყველა სიძნელის საფუძველი ისაა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში კატასტროფული უარყოფითი სალდო აქვს, სამარცხვინოდ დაბალ დონეზეა შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობის დარგში და ქართული მრეწველობის პროდუქციას, რომელიც „ძლივ-ძლივობით სუნთქავს“, გასაღების ბაზარი ძალიან მცირე აქვს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„დენის გაძვირება გარდაუვალია“

ლევან ხაბეიშვილი: „ტარიფმა თუ არ მოიმატა, დენის გამორთვები დაიწყება“

შორენა მარსაგიშვილი

რის საფუძველზე ითხოვს თელასი დენის ტარიფის გაზრდას, რატომ არის გარდაუვალი ფასის მომატება, რა ობიექტის შესანახად იხდის საქართველოს მოსახლეობა ყოველდღიურად 300.000 ლარს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– თელასის მოთხოვნა ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით ლეგიტიმურია. როდესაც ბოლოს მოხდა ტარიფის გადახედვა, შეთანხმებაში ჩაიწერა, რომ თუ დოლარის კურსი 2.30 იქნებოდა, აღარ მოხდებოდა საფასურის გაზრდა. ახლა დოლარის კურსმაც მოიმატა და თან ამ ყველაფერს ზამთრის პერიოდი დაემთხვა. თელასიც იძულებული გახდა, ტარიფის გადახედვა მოეთხოვა.

– ზამთარი ტარიფის გაზრდასთან რა კავშირშია?

– ჩვენ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის 70%-ს ვყიდულობთ. მხოლოდ 30%-ს გამომუშავებენ ჩვენი თბოელექტროსადგურები. ისინი, თავის მხრივ, აზერბაიჯანიდან შემოტანილ გაზზე მუშაობენ. გაზსაც დოლარზე ვყიდულობთ. ასე რომ, დენის ტარიფი მთლიანად დოლარის კურსზეა მიბმული და ჩვენ ვერაფერს ვიზამთ.

ახლა უკვე დადგა ის დრო, როცა თელასმა იმპორტირებული დენი უნდა წამოიღოს. ისინი საფასურს დოლარში იხდიან და მათთვისაც გაძვირდა ეს ელექტროენერგია. ამიტომაც მიმართა სემეკს, რომ ტარიფი გადაიხედოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დოლარი უკვე კარგა ხანია რაც 2.40-ია, თელასმა კიდევ დააგვიანა, მოეთხოვა ტარიფის გადახედვა.

საბოლოო გადაწყვეტილება სემეკზეა, მან უნდა გადაწყვიტოს, გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიის საფასური. მგონია, რომ თელასის მოთხოვნასთან ხელისუფლებაც რაღაც კავშირშია.

– რა კავშირში შეიძლება იყოს ხელისუფლება?

– ხელისუფლებასთან რაღაც კომუნიკაციის გარეშე თელასი ტარიფის გადახედვას არ მოითხოვდა. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, როდის მიიღებს სემეკი გადაწყვეტილებას. შესაძლოა დაელოდონ 5 თვის გასვლას, შესაძლოა ახლავე მიიღონ.

ამ რეალობაში 1,5–2 თეთრით ტარიფის გაზრდა გარდაუვალია. ხელისუფლება გვეუბნება, რომ ეკონომიკა ვითარდება. 1%-თაც რომ ვითარდება ეკონომიკა, ეს ცალსახად აისახება დენის მოხმარებაზე – ასეთ დროს გაცილებით მეტი დენი მოიხმარება. რაც მეტს მოიხმარს ქვეყანა დენს, კომპანია მით მეტად წავა ზარალში, რადგან ისინი დოლარზე ყიდულობენ ელექტროენერგიას.

– გამოდის, რომ თელასი მართალია და არც სხვა გამოსავალი ჩანს. ხელისუფლებას შეუძლია რამის შეცვლა?

– ხელისუფლებას ამაზე ცოტა ადრე უნდა ეფიქრა. ახლა ხელისუფლების ინტერესებშია, რომ სემეკმა ტარიფის გაზრდაზე გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე მიიღოს.

– ეს რაში აწყობს ხელისუფლებას?

– იმაში აწყობს, რომ ახლა პოსტსაარჩევნო ეიფორიაა. უხარიათ „ქართული ოცნების“ გამარჯვება და დენის ფასის მატებას გაგებით მოეკიდებიან. ანაც ხელისუფლებამ იცის, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეიქმნება. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ახალი წლისთვის გაიზრდება ტარიფი. ლარის კურსის ვარდნას ბევრი რამის გაძვირება მოჰყვება. ეს ყველაფერი მოსახლეობას დააწვება კისერზე. ხელისუფლება კი არც პრემიებს მოიკლებს და არც – დანამატებს.

– რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სემეკმა თელასის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა?

– თუ არ მოხდა ტარიფის გადახედვა, მაშინ ელექტროენერგიის მოწოდების მხრივ შეიძლება შეიქმნას პრობლემები. ამის გამო თელასს ვერც ვერავინ მოედავება. ხელისუფლებას თავის დროზე უნდა ეზრუნა, რომ ლარი ამ ზომამდე არ დაცემულიყო. რაც დათესეს, იმას იმკიან.

რამდენიმე თვის წინ დენის საფასურის გაზრდა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის გამოძახილი იყო. მინდა იცოდეთ, რომ დენის ტარიფის საფასური მარტო დოლარის გაძვირების გამო არ იზრდება.

ხელისუფლებამ დიდი ზარზეიმით გვამცნო გარდაბანში კიდევ ერთი სარეზერვო თბოელექტროსადგურის გახსნის შესახებ. სხვა სადგურების მსგავსად, ისიც აზერბაიჯანული გაზით მუშაობს და მას ჩვენ ვინახავთ. ეს ხარჯი ტარიფშია გათვალისწინებული.

– რა ჯდება ამ ქვესადგურის შენახვა?

– ერთი დღე-ღამის მანძილზე მისი შენახვა გვიჯდება 300.000 ლარი. საჭირო რომ ყოფილიყო, კიდევ მესმის, მაგრამ ახლა ტყუილად იყრება ფული. იმის მაგივრად, რომ რომელიმე სადგური ჩაენაცვლებინათ, კიდევ ერთი სარეზერვო თბოსადგური დაამატეს.

თუ ტარიფი უცვლელი დარჩა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყება გამორთვები. მოხდება რეგიონების გათიშვა, რათა მოხდეს ელექტროენერგიის დაზოგვა.

– წლების მანძილზე თბილისის მერია მოსახლეობას ზამთრის პერიოდში თვეში 20 ლარიან ვაუჩერს აძლევდა. ეს ვაუჩერები გაუქმდა. თქვენი ინფორმაციით, მსგავსი რამე თუ იქნება გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში?

– მეეჭვება, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ეს გათვალისწინებული იყოს. ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრი რამის დაფინანსებას შეწყვეტს მერია. ამ დღეებში დავით ნარმანია გამოვიდა და განაცხადა, რომ 2017 წლის ბიუჯეტი 800 მილიონზე ნაკლები არ იქნებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტი შემცირდება. მიმდინარე წელს თბილისის ბიუჯეტი 816 მილიონი ლარით არის განსაზღვრული. სხვათა შორის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით საინტერესო მასალები გვაქვს და მათ მალე გამოვაქვეყნებთ.

ახლა იმის თქმა შეიძლება, რომ მას შემდეგ, რაც ნარმანია თბილისის მერი გახდა, დედაქალაქის ბიუჯეტი კლებულობს და კლებულობს. მომავალ წელს სრული კატასტროფა იქნება. ეს ყველაფერი ისევ მოსახლეობის კისერზე გადაივლის, მერიის ჩინოვნიკები კი ისევ კარგად იცხოვრებენ.

ილია ელოშვილი დენის ტარიფის გაძვირების წინაპირობას ვერ ხედავს

ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი დენის ტარიფის გაძვირების წინაპირობას ვერ ხედავს.

ამის შესახებ ილია ელოშვილმა კომპანია თელასის მიერ სემეკისთვის სატარიფო განაცხადით მიმართვის ფაქტზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ილია ელოშვილმა აღნიშნა, ტარიფის დადგენა ეს არის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივა.

– ამ ეტაპზე მსგავსი წინაპირობა არ არსებობს. ეს არის მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივა. ჩვენ რასაც ვხედავთ, ჯერჯერობით ამის წინაპირობა არ არსებობს, რომ ტარიფი გაძვირდეს, – განაცხადა ელოშვილმა.

ლარი გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4466 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4516 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0050 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთანაც მცირედით გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7081 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7198 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0117 ლარი შეადგინა.

„ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების სასარგებლოდ სხვა საფინანსო ინსტიტუტები დაჩაგრა“

– ეროვნული ბანკი იმის ნაცვლად, რომ წარმართავდეს პროცესს, აძლევდეს ინსტრუქციებს და მითითებებს კომერციულ ბანკებს, რათა მათ გამოასწორონ მდგომარეობა, პრაქტიკულად გადაიქცა 2 დომინანტი ბანკის მომსახურე სააგენტოდ.

ეს განცხადება „კომერსანტთან“ ინტერვიუში ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ფინანსისტმა თემურ ბასილიამ გააკეთა.

მისივე თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდიც სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს საბანკო სექტორის კონცენტრაციას ორ დომინანტ ბანკში.

საბანკო სფეროს სპეციალისტები თემურ ბასილიას შეფასებას იზიარებენ. ამასთან, მათივე პოზიციით, ეროვნული ბანკი არა მხოლოდ 2 კომერციული ბანკის, არამედ მთლიანად საბანკო სფეროს ინტერესებს ემსახურება და სხვა საფინანსო სექტორი პრაქტიკულად, უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული.

დაგროვების მართვის კომპანია „პირადი ბანკირის“ ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე ამბობს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი შვილობილი ორგანიზაციის მკვლევარი იყო და არსებობს რისკი, რომ ის არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც დააზიანებს ამ ჯგუფს.

მისივე თქმით, საბანკო სექტორში პრობლემებია, ბანკების გამსხვილების ცუდი ტენდენციაა, თუმცა რეალურ მიზეზებზე, თუ რა გახდა თუნდაც „სოსიეტე ჟენერალის“ ქვეყნიდან გასვლის მიზეზი, არავინ საუბრობს.

მისივე შეფასებით, ბანკი არის რეგულატორი და შეუძლია სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა დღეს ამას არ აკეთებს.

* * *

თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის თავმჯდომარე ოთარ ანგურაძის განცხადებით კი, გადაჭრით იმის თქმა, რომ ეროვნული ბანკი მხოლოდ 2 მსხვილი ბანკის მომსახურეა, რთულია, თუმცა არსებობს ბევრი კითხვა საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ანგურაძე ამბობს, რომ პრობლემაა დღეს არსებულ კანონმდებლობაშიც და რადიკალური ცვლილებებია საჭირო. ამიტომ ამ საკითხს ახალმა პარლამენტმა უნდა მიხედოს.

ანგურაძე ამბობს, რომ ეროვნულ ბანკს სჭირდება ფუნქციების გაზრდა და გაძლიერება.

პროფესორი, საბანკო სფეროს სპეციალისტი დავით ასლანიშვილი თემურ ბასილიას მოსაზრებას ნაწილობრივ ეთანხმება და ამბობს, რომ დღეს ეროვნული ბანკი არა მხოლოდ 2 კომერციული ბანკის, არამედ ყველა კომერციული ბანკის ინტერესებს იცავს.

– საერთოდ ის, რომ ეროვნული ბანკი არის 2 მსხვილი ბანკის ხელშემწყობი ორგანო, ახალი არ არის. პრობლემა ისაა, რომ დღეს სებ-ი უფრო მეტად იცავს კომერციული ბანკების ინტერესებს, ვიდრე სხვა საფინანსო სექტორის. ეროვნული ბანკისთვის კომერციული ბანკები უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე საფინანსო სექტორის სხვა მოთამაშეები. ის თავს უფრო თვლის კომერციული ბანკების რეგულატორად, – განაცხადა „კომერსანტთან“ საუბრისას ასლანიშვილმა.

ანალოგიური პოზიცია აქვს პროფესორს, ბიზნესსამართლის სპეციალისტს აკაკი ჩარგეიშვილს.

მისი თქმით, დღეს რთულია იმის თქმა, რეალურად არის თუ არა სებ-ი ორი ბანკის ხელშემწყობი ორგანო, თუმცა ბანკების ხელშემწყობი რომ არის, ფაქტია.

– რეალურად ეროვნული ბანკი უფრო მეტად მიკერძოებულია და მოტივირებულ პოლიტიკას ახორციელებს კომერციული ბანკებისთვის და მათი დაკვეთის შესრულებისთვის. მაგრამ მარტო კომერციული ბანკები არ არიან საქართველოში ფინანსური ინსტიტუტები. ამან მოგვცა ჩვენ ის ცუდი სიტუაცია, რაც დღეს არის. სებ-მა კომერციული ბანკების სასარგებლოდ სხვა საფინანსო ინსტიტუტები დაჩაგრა, – განაცხადა ბ-მა ჩარგეიშვილმა.

კომერსანტ-გე

საქართველოდან ღვინის ექსპორტი 37%-ით გაიზარდა

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან ღვინის ექსპორტი 37%-ით გაიზარდა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, 2016 წლის იანვარ-ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38.392.510 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 37%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 88,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 14%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

უწყების ინფორმაციით, ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთის და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთში – 138% (4.307.825 ბოთლი), უკრაინა – 64% (4.212.110), ბელარუსი – 57% (931.602), დიდი ბრიტანეთი – 47% (74.188), პოლონეთი – 44% (1.819.542), რუსეთი – 40% (20.531.892), ესტონეთი – 33% (516.048), ყირგიზეთი – 17% (202.667), იაპონია – 12% (141.774), აშშ – 12% (234.616), გერმანია – 11% (234.422),



კანადა – 7% (157.860), ლატვია – 6% (978.762) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (20.531.892), ჩინეთი (4.307.825), უკრაინა (4.212.110), ყაზახეთი (3.019.147) და პოლონეთი (1.819.542).

სამინისტროს ცნობით, ამასთან, გასულ 10 თვეში, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7.129.158 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 31%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ით მეტია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 148,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

გასული წლის 10 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 115,7 მლნ აშშ დოლარი იყო – ზრდამ 28,2% შეადგინა.

ბიბიენი

საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელს თირკმელი ამოკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სახალხო დამცველ უჩა ნანიაშვილის მიერ გავრცელებული განცხადებას ცალმხრივსა და სუბიექტურს უწოდებს.

რას ედავება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სახალხო დამცველის აპარატს

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, 7 ნოემბერს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გაავრცელა განცხადება, რომლითაც მან მთავარ პროკურატურას მიმართა – მოხდეს ბრალდებულ შ.კ-ს მიმართ ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყება.

– სამწუხაროდ, უჩა ნანუაშვილის მიერ გავრცელებული განცხადება არის ცალმხრივი, სუბიექტური, არ ასახავს მომხდარი ფაქტის რეალურ გარემოებას და საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, – ნათქვამია განცხადებაში.

საგამოძიებო სამსახურის ვერსიით, 2016 წლის 31 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2 თანამშრომელს თავს დაესხა 3 მოქალაქე, რომელთაგან ერთ-ერთმა ცივი იარაღით უმძიმესი ჭრილობა მიაყენა საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელს.

მას ჩაუტარდა თირკმლის ურთულესი ოპერაცია, თუმცა მდგომარეობის დამძიმების გამო, საჭირო გახდა თირკმლის ამოკვეთა. ამჟამად საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება.

სწორედ ამიტომ, საგამოძიებო სამსახური სახალხო დამცველს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ცალმხრივი, გადაუმოწმებელი და სრულიად არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან, რასაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

– გარდა ამისა, გამოძიების ობიექტურად წარმართვა პირველ რიგში სწორედ ჩვენი სამსახურის ინტერესებშია, რათა მომხდარ ფაქტზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

* * *

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მთავარ პროკურორს ბრალდებულ შ.კ-ს მიმართ ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.

როგორც ინტერპრესნიუსს სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, 2016 წლის 3 ნოემბერს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში“ მოთავსებულმა ბრალდებულმა შ.კ.-მ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში განაცხადა, რომ 2016 წლის 31 ოქტომბერს საცხოვრებელ სახლთან ახლოს შევიდა „პოპულის“ მაღაზიაში, სადაც გამყიდველს მისთვის საინტერესო პროდუქტის ფასი ჰკითხა.

ამ ქმედებაზე რიგში მდგარმა ორმა უცნობმა პიროვნებამ უხეშად მიმართა რიგის დარღვევის გამო.

შ.კ.-ს ცნობით, უცნობმა პირებმა განუცხადეს, რომ ისინი, მიუხედავად სამოქალაქო ფორმისა, იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. უცნობებმა შ.კ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შედეგად ბრალდებულმა გონება დაკარგა.

– ბრალდებულის ინტერესების დამცველ ადვოკატთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უცნობი პირები ფინანსური პოლიციის თანამშრომლები – მ.მ. და გ.დ. არიან. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შ.კ.-ს მონახულებისას, ბრალდებულს სხეულზე აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება: კისერზე მარჯვნივ ექსკორიაცია დაფარული ფუფხით, ორივე თვალის ქვედა მარცხენა ქუთუთოზე ჰემატომა, ცხვირზე მოწითალო-იისფერი სისხლნაჟღენთი, – ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, შ.კ.-ს სხეულზე არსებული მრავლობითი დაზიანებების ფაქტი თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მოპოვებული დოკუმენტაციითაც დასტურდება.

– ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში ოთხჯერ გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება, საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებაც და „ნიუ ვიჟენის“ კლინიკაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოთხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს, სადაც ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

შს მინისტრი: „გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს“

შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, დეპუტატ გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების საქმეზე გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს.

ამის შესახებ მღებრიშვილმა ჟურნალისტებს შესაბამის კითხვაზე საპასუხოდ განუცხადა.

– გამოძიება მიმდინარეობს აქტიურად, ტემპი არ დაგვიგდია. თუ რამე სიახლე იქნება, აუცილებლად გაგაგებინებთ, – განაცხადა მღებრიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ერთი პირი დააკავა, ერთს კი დაუსწრებლად ბრალი წარუდგინა.

უწყების ინფორმაციით, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, რაც იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, დაკავებულია 1976 წელს დაბადებული ბორის ჩაგუნავა, 19/109 მუხლით კი, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს, ბრალი 1974 წელს დაბადებულ დავით ხეჩუაშვილს წარედგინა.

მკვლელობაში ბრალდებულს 10 წლით ციხე მიესაჯა

სასამართლომ კასპში ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ზურაბ ფეიქრიშვილი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ჩადენაში სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 23 თებერვალს, საღამოს საათებში, კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში ზურაბ ფეიქრიშვილი და ვასილ ქამხაძე სტუმრად იმყოფებოდნენ თანასოფლელთან, სადაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფებს ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ.

მეორე დღეს, 24 თებერვალს, დაახლოებით 12:40 საათზე, კონფლიქტით განაწყენებული ზურაბ ფეიქრიშვილი მივიდა ვასილ ქამხაძის საცხოვრებელ სახლში და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ხელების ყელში წაჭერის გზით ვასილ ქამხაძე მოახრჩო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზურაბ ფეიქრიშვილი იმავე დღეს ქ. კასპში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით – განზრახ მკვლელობა – წარედგინა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ზურაბ ფეიქრიშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
** კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ნარკოდანაშაულისთვის სასულიერო პირი დააკავეს

მამა გიორგი მეგრელიშვილს მღვდელმოქმედება შეუჩერდა

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის სასულიერო პირი დააკავეს.

მამა გიორგი მეგრელიშვილი კიდევ ერთ პირთან, ოთარ სანოძესთან, ერთად პოლიციამ რამდენიმე დღის წინ აიყვანა.

სამართალდამცველებმა მათი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, რა სახის ნარკოტიკულ საშუალებაზეა საუბარი.

სასამართლომ მამა გიორგი მეგრელიშვილისა და ოთარ სანოძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე უკვე იმსჯელა.

მამა გიორგის მოსამართლემ 4.000 ლარიანი გირაო, მასთან ერთად დაკავებულ ოთარ სანოძეს კი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ინტერპრესნიუსი ინფორმაციის გადასამოწმებლად მამა გიორგი მეგრელიშვილის ადვოკატსაც დაუკავშირდა, თუმცა, ლამარა ბარკალაიას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან არ აქვს რაიმე სახის ინფორმაციის გავრცელების და საქმესთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების ნებართვა.

* * *

როგორც ნიუპოსტს სასამართლოდან აცნობეს, სასულიერო პირს ბრალად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და გადაზიდვა ედება.

წარდგენილი ბრალის თანახმად, მამა გიორგი მეგრელიშვილს ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და გადაზიდვა, ხოლო ბრალდებულ ოთარ სანოძეს – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა და გადაზიდვა, ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება. მასვე ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და გადაზიდვა.

სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ოთარ სანოძე არის წარსულში არაერთხელ ნასამართლევი სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის, ამასთან, მას ბრალად ედება განზრახი, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რომელიც სასჯელის სახედ უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადოდ.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ასევე ბრალდებულის კონტაქტები ქვეყნის გარეთ და შესაბამისად მიიჩნია, რომ არსებობს მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით მიმალვისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე.

რაც შეეხება ბრალდებულ მამა გიორგი მეგრელიშვილს, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 წლამდე ვადით. სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებული არაა წარსულში ნასამართლევი და არც ადმინისტრაციულსახდელ შეფარდებული პირი, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გამოყენების პირობებშიც მიღწეული იქნება აღკვეთის ღონისძიების მიზნები.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 15 დეკემბერს 14:00 საათზე გაიმართება.

* * *

მამა გიორგი მეგრელიშვილს მღვდელმოქმედება შეუჩერდა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პატრიარქის მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, მამა გიორგი მეგრელიშვილისთვის მღვდელმოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მისმა მმართველმა მღვდელმთავარმა მიიღო.

– მე როგორც ვნახე მისი მმართველი მღვდელმთავრის ბრძანება, მას შეუჩერდა მღვდელმოქმედება აღნიშნული ფაქტის გამო, ალბათ საგამოძიებო მოქმედებების დამთავრებამდე, – აღნიშნა მამა მიქაელ ბოტკოველმა.

გორში 43 წლის მამაკაცი სანადირო თოფით მოკლეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხაში 43 წლის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

მკვლელობას წინ მეზობლებს შორის შელაპარაკება უძღოდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, გარდაცვლილს რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული.

მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

როგორც ნიუპოსტს შს სამინისტროში განუცხადეს, უწყებამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ა. ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გორის რაიონის სოფელ რეხაში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს, 1973 წელს დაბადებულ ზ.ქ.-ს და მიიმალა.

დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.ჯ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ხაშურის რაიონის სოფელ აგარებთან, საავტომობილო გზაზე ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს.

პოლიციამ ავტომანქანის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი, სანადირო თოფი, ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ჰილარი კლინტონმა მეტოქეს კვლავ გაუსწრო

ამერიკა ახალ პრეზიდენტს ირჩევს. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ჩაატარა გამოკითხვა. სურათი შემდეგია: ჰილარი კლინტონს მხარს ამომრჩეველთა 48% უჭერს, ტრამპს – 43%. სხვა გამოკითხვებით, ჰილარი კლინტონის მომხრეთა რაოდენობა 51%-ს შეადგენს, ტრამპისა – 46%-ს, თუმცა ყველა ავტორიტეტული სოციოლოგიური კომპანია ერთსულოვანია ერთში: მისის კლინტონმა თავის მეტოქეს 5%-ით გაუსწრო.

საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი დღით ადრე განცხადება გააკეთა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) დირექტორმა ჯეიმს კომიმ. მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონის ელექტრონული მიმოწერა შესწავლილ იქნა და მასში ვერაფერი კრიმინალური ვერ აღმოაჩინეს.

– ჩვენი ადრინდელ დასკვნა უცვლელი რჩება. ჰილარი კლინტონი უდანაშაულოა. მისი ელ-ფოსტის დამატებითმა შესწავლამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, – თქვა კომიმ.

გფბ-ს დირექტორის განცხადებამ ჰილარი კლინტონს ქულები შესძინა, ტრამპს კი, პირიქით, დააკარგვინა. მიზეზი რენოში (ნევადას შტატი) მომხდარი ინციდენტიცაა, როცა დაცვამ ტრამპი დარბაზიდან გაიყვანა. ეს სცენა უამრავმა ამერიკულმა ტელეარხმა გადასცა.

ტელემაყურებელთა მოსაზრება ორად გაიყო. ერთნი თვლიან, რომ ტრამპი ლაჩარია და მცირეოდენი საფრთხის შემთხვევაში გარბის, მეორენი მიიჩნევენ, რომ ინციდენტი თავად ტრამპმა ჩაწყო, აქაოდა, ჩემს მოკვლას აპირებენო.

ასეა თუ ისე, ამით ტრამპმა რამდენიმე ქულა დაკარგა.

ცალკეულ შტატებში ფრიად საინტერესო ვითარება შეიქმნა. ფლორიდაში კლინტონსა და ტრამპს მხარს 46-46% უჭერს. იმის გამო, რომ ეს შტატი საპრეზიდენტო არჩევნებში გადამწყვეტ როლს თამაშობს, აქ ხმებისთვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. მსგავსი ვითარებაა ჩრდილოეთ კაროლინაშიც, სადაც კლინტონსა და ტრამპს ასევე ერთნაირი მხარდაჭერა აქვთ.

პენსილვანიაში ჰილარი კლინტონს მხარს 46% უჭერს, ტრამპს – 44%. ჯორჯიაში პირიქით, ტრამპი ლიდერობს, თუმცა უპირატესობა უმნიშვნელოა. მას მხარს 47% უჭერს, ჰილარი კლინტონს – 46%.

მისის კლინტონი მცირე უპირატესობით უსწრებს მეტოქეს ნიუ ჰემპშირში, ოჰაიოში, მიჩიგანში.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს. მცირეოდენი შეცდომაც კი, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. თუკი ტრამპმა ნიუ ჰემპშირში ან მიჩიგანში გამარჯვება მოიპოვა, არ არის გამორიცხული, რომ ჰილარი კლინტონს ბოლო მომენტში გადაუსწროს კიდეც.

არჩევნების ფინიშზე ჰილარი კლინტონი გამოიკვეთა, როგორც ლიდერი, მაგრამ ტრამპს გამარჯვების რეალური შანსები შერჩა.

ერაყის არმია მოსულს ათავისუფლებს

ერაყის არმია მოსულში წინ მიიწევს. გარეუბნები ტერორისტებისგან მთლიანად გაწმენდილია. მოსახლეობა ჯარისკაცებს ეგებება, როგორც განმათავისუფლებლებს.

– ისლამური სახელმწიფოს ბატონობისას ცხოვრება ძალიან მძიმე იყო. განსაკუთრებით ეს ქალებს შეეხება. მათ აიძულებდნენ, მონებივით ემუშავათ, – განუცხადა მოსულის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ბიბისი-ს კორესპონდენტს.

ქალაქის დანარჩენ უბნებს ექსტრემისტები აკონტროლებენ. მათ მიწისქვეშა გვირაბები გათხარეს, რისი მეშვეობითაც ქალაქში თავისუფლად გადაადგილდებიან. ტერორისტები მოქალაქეთა სახლებშიც არიან გამაგრებული და ჯარისკაცებს ცეცხლს იქიდან უხსნიან.

ექსპერტები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ მოსულში ერაყის არმიის გამარჯვება გარდაუვალია, თუმცა ისიც უდავოა, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი დიდი იქნება. ტერორისტები უკანდახევას არ აპირებენ და მოსახლეობას ცოცხალ ფარად იყენებენ.

სტოლტენბერგი: ნატო ჯარისკაცებს საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებულ რეჟიმში გადაიყვანს

რუსეთთან მზარდი დაძაბულობის ფონზე, ნატოს ასი ათასობით სამხედრო მოსამსახურე საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებულ რეჟიმში იქნება გადაყვანილი. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სურს, მოამზადოს არსებითი სახმელეთო ძალები, რომლებიც რუსეთის აგრესიის შეკავებას შეძლებენ.

აღნიშნულის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გამოცემა ტაიმსთან საუბარში განაცხადა.

– ჩვენ ვნახეთ რუსეთი, რომელიც ბევრი მიმართულებით გააქტიურდა. ჩვენ ვნახეთ უფრო ხისტი რუსეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სამხედრო პოტენციალს არსებითად აძლიერებს, რომელმაც 2000 წლის შემდეგ თავდაცვის ხარჯები გაასამმაგა, ავითარებს ახალ სამხედრო შესაძლებლობებს, წვრთნის საკუთარ ძალებს და იყენებს სამხედრო ძალას მეზობლების წინააღმდეგ.

ჩვენ ასევე ვნახეთ რუსეთი, რომელიც ევროპაში, ნატო-ს მოკავშირე ქვყენებში პროპაგანდას იყენებს და სწორედ ეს არის მიზეზი, თუ რატომ რეაგირებს ნატო. ჩვენ ვპასუხობთ ჩვენი კოლექტიური თავდაცვის ყველაზე დიდი გაძლიერებით ცივი ომის დასრულების შემდეგ, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

როგორც ტაიმსთან საუბარში ნატოში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ადამ ტომსონმა განაცხადა, ნატოს გეგმაა, რომ საჭიროების შემთხვევაში, 300.000-მდე ჯარისკაცისგან შემდგარი ძალების მობილიზება 2 თვეში შეძლოს.

ამჟამად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ამისთვის დაახლოებით 6 თვე სჭირდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ობობას მიერ შეშინებული ავსტრალიელი მანქანით ტბაში შევარდა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში, მამაკაცს, რომელიც საკუთარი მანქანის საჭესთან იჯდა, ობობის შეეშინდა და შემთხვევით ტბაში შევარდა.

მამაკაცი, რომლის ვინაობა უცნობია, მანქანით სამშენებლო მასალების შესაძენად გაემგზავრა. უკან დაბრუნების დროს, მან საკუთარ ხელზე ობობა შენიშნა და ამის გამო პანიკაში ჩავარდა. მან გზიდან გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მანქანის დამუხრუჭების ნაცვლად შეცდომით ფეხი აქსელერატორს დააჭირა. შედეგად ავტომობილი ტბაში შევარდა.

მძღოლმა წყალში აღმოჩენილი მანქანიდან, რომელიც იძირებოდა, თავის დაღწევა ღია ფანჯრიდან შეძლო. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ალეპო: რუსეთმა პარაშუტის გამოსახულებიანი ბომბები ჩამოყარა

რუსეთის ავიაციამ ალეპო კვლავ დაბომბა. სამიზნე იყო ქალაქის დასავლეთი რაიონები, რომლებსაც პარტიზანები აკონტროლებენ. ამჯერად რუსებმა პარაშუტის გამოსახულებიანი ბომბები ჩამოყარეს.

რუსული ბომბებით 11 მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული.

უკრაინა: გენპროკურატურა დეპუტატ ნოვინსკის წინააღმდეგ

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა პრორუსული ორიენტაციის დეპუტატის ვადიმ ნოვინსკის წინააღმდეგ. მას ბრალად კორუფცია, რელიგიური ექსტრემიზმი და ანტიუკრაინული მოღვაწეობა ედება.

ვადიმ ნოვინსკი პარლამენტში პრორუსული „ოპოზიციური ბლოკის“ სიით მოხვდა. მისი ქონება 2 მილიარდს უახლოვდება. როგორც კი ნოვინსკიმ შეიტყო, რომ მისით პროკურატურა დაინტერესდა, პირადი თვითმფრინავით უკრაინა დატოვა.

– თუკი ნოვინსკი არ დაბრუნდება, საერთაშორისო ძებნას გამოვაცხადებთ, – ამბობს გენერალური პროკურორი იური ლუცენკო.

საპრეზიდენტო არჩევნები ბულგარეთში

ბულგარეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე გადამდგარი გენერალი რუმენ რადევი ლიდერობს. მას მხარს ოპოზიციური სოციალისტური პარტია უჭერს.

რადევი რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირების მომხრეა, თუმცა თვლის, რომ ბულგარეთის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას ალტერნატივა არ აქვს.

რადევი ხმების 26%-ს აგროვებს. მისი მეტოქე, პროდასავლელი ცეცკა ცაჩევა – 21%-ს.

როგორც ჩანს, ბულგარეთის პრეზიდენტის ასარჩევად მეორე ტურის ჩატარება გახდება აუცილებელი.

შეტაკებები ჰონკონგში

ჩინეთის ხელისუფლებამ ჰონკონგის პარლამენტში დამოუკიდებლობის მომხრე ორი დეპუტატი არ დაუშვა, თუმცა ორივე კანონიერად იყო არჩეული.

პასუხად ჰონკონგში საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა.

პოლიციამ აქცია რეზინის ხელჯოხებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა.

რამდენიმე აქტივისტი დააპატიმრეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

ევროსაგზურებისთვის ბრძოლა გრძელდება, ზუგდიდი თითქმის გავარდა

თეთრი ჯგუფი

ტორპედო-გურია 5:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია 1:0 მამასახლისი (10პ),2:0 ტუღუში (54),3:0 ბაბუნაშვილი (73), 4:0,5:0 კაპანაძე (78,82)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, მამასახლისი, საღრიშვილი (ნერგაძე 46), ბაბუნაშვილი (კუჭუხიძე 75), კაპანაძე, დოლიძე (ბენაშვილი 63), ტუღუში

გურია: იმერლიშვილი, ნოზაძე, ჩადუნელი, ჭეიშვილი (პეტერსონი 70), მეგრელიშვილი, მოროზენკო, ჭეჭელაშვილი (დენიზი 59), კირკიტაძე, სტეფნიაშვილი, ფილიპე (ჭედია 29), მურაშოვი

მატჩს ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. სტუმარ-მასპინძელს არცთუ დალაგებული სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა და მის გასაუმჯობესებლად მხოლოდ ერთი შედეგი – მოგება აძლევდა ხელს. მიზანს ამჯერად ტორპედომ მიაღწია.

შეხვედრის ანგარიში კარგად მეტყველებს უპირატესობაზე, რომელსაც ტორპედოელები ამ შეხვედრაში ფლობდნენ. რიონისპირელებმა გააზრებული თამაშით არანაირი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს.

თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში მასპინძელთა უდავო უპირატესობის ფონზე, პირველი საგოლე მომენტი სწორედ მათ კართან შეიქმნა. მე-3 წუთზე თორნიკე სტეფნიაშვილი მარცხენა ფლანგზე მცველს დაუსხლტდა, ტორპედოელთა საჯარიმოში შეიჭრა და კარშიც სახიფათოდ დაარტყა, თუმცა როინ კვასხვაძემ იყოჩაღა და უძნელესი ბურთის კუთხურზე გადაგდება მოახერხა. ფაქტობრივად, ეს იყო ყველაზე ღირებული, რაც კი სტუმრებმა მეტოქის კართან მატჩის განმავლობაში შექმნეს.

ამ ეპიზოდის შემდეგ ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ და ანგარიშიც მალე გაიხსნა. გურულები საკუთარ საჯარიმოში თორნიკე კაპანაძის წაქცევისათვის 11-მეტრიანით დაისჯნენ, რომელიც გოლად ჩვეული სიდინჯით ოლეგ მამასახლისმა გარდასახა. ამის შემდეგ სტუმართა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ გიორგი გურულს, თორნიკე კაპანაძეს (ორჯერ), გრიგოლ დოლიძეს, თუმცა შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

თამაშის განახლების შემდეგ ტორპედოს შეტევების სიმწვავემ უფრო იმატა. მე-2 გოლი მარჯვენა ფრთიდან გურულთა საჯარიმოში დოლიძის ჩაწოდების შემდეგ ბურთზე ერთი შეხებით ბექა ტუღუშმა გაიტანა. 20 წუთში ტუღუშმა ასისტენტის როლიც კარგად შეასრულა. მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ შოთა ბაბუნაშვილი გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე და – 3:0. ეს იყო ტორპედოელთა 1.300-ე გოლი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

ამის შემდეგ კაპანაძის ჯერი დადგა – თორნიკემ დუბლით გამოიჩინა თავი.

შუქურა -დინამო (თბ) 0:1

ქობულეთი. ჩელე არენა 0:1 ჭელიძე (30)

შუქურა: ჯიოევი, ჯაფარიძე, მირცხულავა, ადამაძე, ჩაჩუა, არზიანი (კუტალია 46), არზიანი, ჭეჟია (შალამბერიძე 87), კომახიძე, გურული, ჟეფინიუ (ჭანყვაძე 65), ბერრიაშვილი

დინამო: რევიშვილი, ლობჟანიძე, რენე, ხუბუტია, ჭელიძე, ცინცაძე, კიტეიშვილი, ჯიღაური, ზარია (პარუნაშვილი 77, ნინუა 94)), პაპუნაშვილი (თევზაძე 89), მიქელთაძე

მატჩი მხიარულად დაიწყო: დებიუტშივე პაპუნაშვილი-ზარია-მიქელთაძის კომბინაცია უშედეგო გამოდგა, საპასუხოდ მასპინძლებმაც შეუტიეს, გურული და კომახიძე აქტიურობდნენ. მე-10 წუთზე გიორგი ზარია ემუქრებოდა მასპინძელთა კარს, მისი შორიდან დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. მალევე გიორგი ბერრიაშვილს შეექმნა სახიფათო სიტუაცია, მან თავით ითამაშა, მაგრამ არაზუსტად.

ამის შემდეგ თამაში ხისტად გაგრძელდა, ორთაბრძოლები ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა.

30-ე წუთზე თბილისელებმა კუთხურის შესრულების უფლება მოიპოვეს, გიორგი პაპუნაშვილის ჩაწოდებულ ბურთს ბექა მიქელთაძე ძლიერი დარტყმით გზავნიდა, ბურთი ქობულეთელთა კარის ხარიხამ მოიგერია, დამატებაზე კი ყველას ზაზა ჭელიძემ დაასწრო და გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, როცა ოთარ კიტეიშვილის სახიფათო ჩაწოდებულს ჯაბა ჯიღაურმა ვერ მიუსწრო. 62-ე წუთზე შუქურამ შეუტია სახიფათოდ – სიტუაცია საბოლოოდ სტუმართა მცველებმა განმუხტეს.

78-ე წუთზე მასპინძლებმა საკმაოდ სახიფათო საგოლე სიტუაცია შექმნეს, საბოლოოდ აკაკი ხუბუტიამ იყოჩაღა და დინამოს კარი გადაარჩინა. მატჩის ბოლო წუთზე ტრავმირებული პარუნაშვილის მაგივრად მოედანზე ნიკა ნინუა გამოჩნდა. მისთვის ეს სადებიუტო შეხვედრა გამოდგა დინამოს შემადგენლობაში. მალე კი თამაშიც დასრულდა და დინამომ მორიგი 3 ქულა მოიპოვა.

ლოკომოტივი-ცხინვალი 2:0

თბილისი. მიხეილ მესხი 1:0, 2:0 დიასამიძე (10, 13)

სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა თბილისის ლოკომოტივმა. დედაქალაქელებმა მიხეილ მესხზე ცხინვალს უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს მეტოქე.

მასპინძლებმა უპირატესობა მატჩის საწყის წუთებშივე მოიპოვეს. მე-10 და მე-13 წუთებზე დუბლი გეგა დიასამიძემ გაიფორმა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა.

დედაქალაქელებს 10 ჩატარებულ შეხვედრაში 14 ქულა მოუგროვდათ და მესამე ადგილზე არიან, ცხინვალს კი, კვლავ 9 ქულა აქვს და თეთრ ჯგუფში ბოლო, მეშვიდე პოზიციაზეა.

სატუხნინო ცხრილი:

1.ჩიხურა	10	7	2	1	21-10	23
2.დინამო (თბ)	10	4	5	1	12-5	17
3.ლოკომოტივი	10	4	2	4	10-13	14
4.ტორპედო	10	3	3	4	14-10	12
5.შუქურა	11	2	5	4	9-12	11
6.გურია	11	3	2	6	8-19	11
7.ცხინვალი	10	2	3	5	10-15	9

წითელი ჯგუფი

ზუგდიდი -სიონი 0:3

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე 0:1, 0:2 ვოლკოვი (31, 38), 0:3 ჯანელიძე (78)

ზუგდიდი: ლიტოვჩენკო, ქანთარია, აფაქიძე, ზოზულია (კოხია), სუხომლინოვი, ტყემალაძე, სიხარულია, ჩუკურა უკბილე, წურწუმია (ლაშხია), სამუშია (ერმაჩენკო), თუთბერიძე;

სიონი: დაუშვილი, ფოფხაძე, კასრაძე, თოთაძე, გაფრინდაშვილი, გიორგაძე, ჯანელიძე (ლობჯანიძე), ძარია (სანტოს ფერეირა), სიხარულიძე, ვოლკოვი (სუშკინი)

წითელი ზონის აუტსაიდერების დუელი, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ანგარიში 31-ე წუთზე თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დავით ვოლკოვმა გახსნა, რომელიც ირაკლი ძარიამ გამოიმუშავა. „სიონის“ გოლიადორმა მალევე დუბლი გაიფორმა, 38-ე წუთზე თავური დარტყმით შეძლო მეტოქის კარის აღება. საბოლოო ანგარიში 78-ე წუთზე დაფიქსირდა, გიორგი ჯანელიძემ ზუგდიდელთა შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა აღარ გასჭირვებია.

სატუხნინო ცხრილი:

1.სამტრედია	10	7	3	0	22-7	24
2.კოლხეთი	11	6	0	5	10-17	18
3.დინამო (ბთ)	10	4	5	1	17-4	17
4.საბურთალო	10	3	4	3	13-11	13
5.სიონი	11	3	2	6	13-16	11
6.დილა	10	3	2	5	10-12	11
7.ზუგდიდი	10	2	0	8	4-22	6

ნაკრებს ანანიძე დააკლდა და ლიპარტია დაემატა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მოლდოვასთან მზადება დაიწყო.

სავარჯიშო პროცესში 24 ფეხბურთელი იქნება ჩართული, ვლადიმირ ვაისმა ბოლოს ეროვნულ ნაკრებში უკრაინული ზორიას ნახევარმცველი, ჯაბა ლიპარტია გამოიძახა. ჯანო ანანიძე კი, რომელსაც ამ დროისთვის ტრავმა აქვს, თბილისში ჩამოვა და ეროვნული ნაკრების სამედიცინო შტაბის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (დინამო თბ), გიორგი ლორია (კრილია, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელორუსი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი, ჯაბა ჯიღაური (ორივე დინამო თბ), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ლიპარტია (ზორია, უკრაინა);

თავდამსხმელები: დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

შედეგები

6 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ტოტენჰემი	1:1
ჰალი-საუთჰემპტონი	2:1
ლივერპული-უოტფორდი	6:1
სუონსი-მანჩესტერი	1:3
ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1:2

სატუხნინო ცხრილი:

1.ლივერპული	11	8	2	1	30-14	26
2.ჩელსი	11	8	1	2	26-9	25
3.სიტი	11	7	3	1	25-10	24
4.არსენალი	11	7	3	1	24-11	24
5.ტოტენჰემი	11	5	6	0	15-6	21
6.მანჩესტერი	11	5	3	3	16-13	18
7.ევერტონი	11	5	3	3	15-13	18
8.უოტფორდი	11	4	3	4	15-19	15
9.ბარნლი	11	4	2	5	11-15	14
10.საუთჰემპტონი	11	3	4	4	12-12	13
11.ვესტ ბრომვიჩი	11	3	4	4	12-15	13
12.სტოკი	11	3	4	4	13-18	13
13.ბორნმუთი	11	3	3	5	13-16	12
14.ლესტერი	11	3	3	5	13-18	12
15.მიდლსბრო	11	2	5	4	10-12	11
16.კრ.პალასი	11	3	2	6	16-19	11
17.ვესტ ჰემი	11	3	2	6	11-20	11
18.ჰალი	11	3	1	7	10-24	10
19.სუონსი	11	1	2	8	10-21	5
20.სანდერლენდი	11	1	2	8	9-21	5

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ლეგანესი	3:0
ესპანიოლი-ბილბაო	0:0
სელტა-ვალენსია	2:1
ვილიარეალი-ბეტისი	2:0
სევილია-ბარსელონა	1:2

სატუხნინო ცხრილი:

1.რეალი	11	8	3	0	31-10	27
2.ბარსელონა	11	8	1	2	32-13	25
3.ვილიარეალი	11	6	4	1	19-7	22
4.ატლეტიკო	11	6	3	2	25-8	21
5.სევილია	11	6	3	2	19-15	21
6.სოსიედადი	11	6	1	4	18-12	19
7.ბილბაო	11	5	2	4	15-13	17
8.სელტა	11	5	2	4	18-21	17
9.ლას პალმასი	11	4	4	3	21-18	16
10.მალაგა	11	4	3	4	17-16	15
11.ეიბარი	11	4	3	4	16-15	15
12.ალავესი	11	3	4	4	11-15	13
13.ესპანიოლი	11	2	6	3	13-17	12
14.ბეტისი	11	3	2	6	11-22	11
15.ვალენსია	11	3	1	7	15-21	10
16.დეპორტივო	11	2	4	5	8-16	10
17.ლეგანესი	11	3	1	7	9-22	10
18.ხიხონი	11	2	3	6	10-22	9
19.ოსასუნა	11	1	4	6	12-21	7
20.გრანადა	11	0	4	7	9-25	4

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-ხიმნასტიკი	0:1
ნუმანსია-ელჩე	2:2
ხეტაფე-ალკორკონი	1:0
ოვიედო-ლუგო	1:1
ალმერია-კორდობა	3:1
რეუსი-ლევანტე	0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ლაიპციგი-მაინცი	3:1
შალკე-ვერდერი	3:1

სატუხნინო ცხრილი:

1.ბაიერნი	10	7	3	0	24-6	24
2.ლაიპციგი	10	7	3	0	20-7	24
3.ჰოფენჰაიმი	10	5	5	0	18-11	20
4.ჰერტა	10	6	2	2	17-10	20
5.დორტმუნდი	10	5	3	2	25-12	18
6.კიოლნი	10	5	3	2	16-7	18
7.აინტრახტი	10	5	3	2	14-8	18
8.ლევერკუზენი	10	5	1	4	16-15	16
9.ფრაიბურგი	10	5	0	5	13-16	15
10.მაინცი	10	4	2	4	17-18	14
11.გლადბახი	10	3	3	4	10-15	12
12.შალკე	10	3	2	5	13-12	11
13.აუგსბურგი	10	3	2	5	10-14	11
14.ვოლფსბურგი	10	2	3	5	9-13	9
15.დარმშტადტი	10	2	2	6	10-20	8
16.ვერდერი	10	2	1	7	12-27	7
17.ინგოლშტადტი	10	0	2	8	7-21	2
18.ჰამბურგი	10	0	2	8	4-23	2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ჰანოვერი	2:2
ზანდჰაუზენი-მიუნხენ 1860	3:2
შტუტგარტი-არმინია	3:1

იტალია. სერია ა

პესკარა-ემპოლი	0:4
კიევო-იუვენტუსი	1:2
ჯენოა-უდინეზე	1:1
პალერმო-მილანი	1:2
სასუოლო-ატალანტა	0:3
ფიორენტინა-სამპდორია	1:1
ინტერი-კროტონე	3:0
რომა-ბოლონია	3:0

სატუხნინო ცხრილი:

1.იუვენტუსი	12	10	0	2	25-9	30
2.რომა	12	8	2	2	29-12	26
3.მილანი	12	8	1	3	19-15	25
4.ლაციო	12	6	4	2	23-13	22
5.ატალანტა	12	7	1	4	19-13	22
6.ნაპოლი	12	6	3	3	21-13	21
7.ტორინო	12	5	4	3	27-16	19
8.ფიორენტინა	11	4	5	2	14-11	17
9.ინტერი	12	5	2	5	16-14	17
10.ჯენოა	11	4	4	3	13-11	16
11.კალიარი	12	5	1	6	20-29	16
12.კიევო	12	4	3	5	12-14	15
13.უდინეზე	12	4	3	5	16-19	15
14.სამპდორია	12	4	3	5	13-17	15
15.ბოლონია	12	3	4	5	11-18	13
16.სასუოლო	12	4	1	7	14-22	13
17.ემპოლი	12	2	4	6	6-13	10
18.ვერონა	12	1	4	7	9-20	7
19.პალერმო	12	1	3	8	9-23	6
20.კროტონე	12	1	2	9	10-24	5

იტალია. სერია ბ

აველინო-ფროზინონე	0:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

კაენი-ნიცა	1:0
მეცი-სტ.ეტიენი	0:0
პსჟ-რენი	4:0

სატუხნინო ცხრილი:

1.ნიცა	12	9	2	1	24-9	29
2.მონაკო	12	8	2	2	36-15	26
3.პსჟ	12	8	2	2	24-7	26
4.გენგამი	12	6	3	3	17-12	21
5.რენი	12	6	2	4	13-16	20
6.ტულუზა	12	5	4	3	16-10	19
7.ლიონი	12	6	1	5	20-16	19
8.ბორდო	12	5	4	3	15-13	19
9.სტ.ეტიენი	12	4	6	2	14-10	18
10.ანჟე	12	5	2	5	11-11	17
11.დიჟონი	12	3	5	4	16-17	14
12.მარსელი	12	3	5	4	12-13	14
13.მონპელიე	12	3	5	4	19-26	14
14.მეცი	12	4	2	6	11-21	14
15.კაენი	12	4	1	7	10-21	13
16.ნანტი	12	3	3	6	9-16	12
17.ბასტია	12	3	2	7	9-12	11
18.ლილი	12	3	1	8	10-18	10
19.ნანსი	12	2	3	7	7-19	9
20.ლორიანი	12	2	1	9	9-20	7

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-ექსელსიორი	2:1
ალკმაარი-აიაქსი	2:2
ვიტესი-ჰერაკლესი	1:2
იგლზი-ფეინოორდი	1:0

ჰოლანდია. პრიმერა დივიზიონი

მორეირენშე-სეტუბალი	1:2
პორტუ-ბენფიკა	1:1
სპორტინგი-არეუკა	3:0
მარიტიმუ-ბრაგა	1:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

როსტოვი-არსენალი	4:1
ტერეკი-ზენიტი	2:1
ცსკა-ამკარი	2:2
კრასნოდარი-ორენბურგი	3:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

როსი-რეინჯერსი	1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ვადუცი-გრასჰოპერსი	0:0
ლუგანო-სტ.გალენი	2:3
ლუცერნი-იანგ ბოიზი	2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ვოლფსბერგერი	0:1
მატერსბურგი-ზალცბურგი	2:1
ალტახი-აუსტრია	5:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ბრიუგე-გენკი	1:1
ანდერლეხტი-ოსტენდე	1:1
გენტი-ბევერენი	2:0
სტანდარდი-მუსკრონი	2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ლარისა	2:1
კერკირა-ვერია	2:0
პანიონიოსი-პაოკი	1:0
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	3:0

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ადანა	2:2
ოსმანლი-ქაისერი	1:1
აკხისარი-ფენერბახჩე	1:3
ქონია-ქაშიმფაშა	2:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ლიბერეცი-სპარტა	0:0
კარვინა-სლოვაკეკო	0:1
პლზენი-იაბლონეცი	3:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვისლა-ლენჩნა	3:2
სლასკი-ზაგლებიე	2:1

სლასკის პირველი გოლი ლაშა დვალმა გაიტანა

ლეგია-კრაკოვია	2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ჩერნომორეცი-ზორია	0:0
ოლეკსანდრია-შახტარი	1:2
დნიპრო-დინამო	1:2

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ლუნგბიუ	1:2
ჰორსენსი-მიდტიულანდი	1:5
ვიბორგი-ბრონდბიუ	1:2
კოპენჰაგენი-სონდერიისკე	4:0

შვედეთი. აღსვენსკა

აიკი-კალმარი	3:1
მალმიო-ჰამარბი	3:0
ნორჩიოპინგი-გიოტებორგი	3:1
სუნდსვალდი-დიურგარდენი	2:5
ჰაკენი-ფალკენბერგი	7:0
ჰელსინბორგი-იონჩოპინგი	2:0
ელფსბორგი-იორებრო	2:1
ოსტერსუნდი-გეფლე	2:4

ნორვეგია. ტიპეიგა

ბრანი-სარპსბორგი	2:1
ვიკინგი-ვალრენგა	0:2
ლილესტრიომი-მიოლდე	1:0
რუსენბორგი-ბოდო გლიმტი	2:1
სონგდალი-ალესუნდი	2:4
სტაბეკი-სტარტი	3:0
ტრომსო-ოდ გრელანდი	3:1
ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სამკურნალო ფიზკულტურა
— სასარგებლო ვარჯიშები ჩვენი პაციენტებისთვის

ეკა ირემაშვილი

სქოლიოზი, ბრტყელტერფიანობა, დისპლაზია – ეს ტერმინები ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ისმის. მედიკოსების განმარტებით, გარემო ფაქტორებმა, არაჯანსაღმა კვებამ, დაბინძურებულმა ჰაერმა ბავშვებში ამ პრობლემების მატება გამოიწვია.

როგორ ვებრძოლოთ ამ დაავადებებს, შესაძლებელია თუ არა გართულებების თავიდან აცილება, რა არის სამკურნალო ფიზკულტურა და როდის მივმართოთ სპეციალისტს, ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი მერი წულაია ესაუბრა:

– სამწუხაროდ, დღევანდელ თაობაში არც ერთი ბავშვი არ იბადება 10 ქულიანი შეფასებით. 6-7 ქულაზე მეტს ვერ დაუწერთ ახლანდელ ბავშვებს.

– ეს რისი ბრალია?

– პირველ რიგში, ეს არის ეკოლოგიის ბრალი. არანაკლებ საყურადღებოა კვებაც. დედები რას ჭამენ, რას სვამენ, კაცმა არ იცის. ზოგი ეწევა, ზოგიც სვამს. ბავშვზე ზრუნვა დედამ ორსულობიდანვე უნდა დაიწყოს. რა თქმა უნდა, გენეტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. 9 თაობაზე გადადის ყველა დაავადება, მათ შორის სქოლიოზი, ბრტყელტერფიანობაც და დისპლაზიაც.

– როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ეს დაავადებები?

– ორსულობის პერიოდში ქალი უნდა იკვებოს სრულფასოვნად, არ მოწიოს, არ დალიოს, დიდხანს ისეირნოს სუფთა ჰაერზე და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საკუთარ თავს, რომ ჯანმრთელი შვილები გააჩინოს.

– როდის უნდა მივმართოთ სპეციალისტს, რომ გამოვრიცხოთ სქოლიოზის, დისპლაზიის და ბრტყელტერფიანობის ფაქტორები?

– ბავშვი რომ იბადება, სამი თვის ასაკში უკვე იწყება იმ უარყოფითის გამოვლინება, რაც პატარას აქვს. ბავშვი უნდა გასინჯოს პედიატრმა და ორთოპედმა, რომლებიც გამოავლენენ ამ დაავადებებს და მშობლებიც მიმართავენ სპეციალისტებს.

5 წლამდე ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ფეხსაცმელს, რათა ბრტყელტერფიანობის რისკი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. სწორი ფეხსაცმლის ჩაცმით პატარებს პრობლემებს თავიდან ავარიდებთ.

– როგორი ფეხსაცმელი უნდა ეცვათ ბრტყელტერფიანობისკენ მიდრეკილ პატარებს?

– აუცილებელია, ბავშვს მშობელმა ჩააცვას ორთოპედიული ჩექმები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ე.წ. ჩუსტის, ბოტასის, კედის ჩაცმა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ცხელა, ორთოპედიული ჩექმები პატარას სიცხეშიც უნდა ეცვას, რომ მოვასწროთ 5 წლამდე სწორი ფეხსაცმლის ჩაცმა და ბრტყელტერფიანობის კორექტირება, თუმცა მხოლოდ ფეხსაცმლის ჩაცმა არაფერს უშველის, აუცილებელია მასაჟები.

– როგორ შევიძინოთ ფეხსაცმელები? ბაზრობაზე ნაყიდი სუპინატორიანი ფეხსაცმელი დამაკმაყოფილებელია?

– არანაირად. ახლა გახსნილია ორთოპედიული მაღაზიები, სადაც იყიდება სუპინატორები. ცოტა ძვირი ღირს, 90 ლარამდე, სამაგიეროდ, 2-3 წელი ბავშვი თავისუფლად მოიხმარს, ნებისმიერ ფეხსაცმელში ჩადებს და ივლის. რა თქმა უნდა, ფეხსაცმელი ყოველთვის უნდა იყოს ძალიან მყარი.

– კორსეტებს რა შემთხვევაში უნიშნავთ ბავშვებს?

– ჩვენ გვაქვს კორსეტები და მხარსაჭერები. მხარსაჭერებს ვიყენებთ მაშინ, როდესაც გვაქვს პირველი, მეორე ხარისხამდე სქოლიოზი. როცა მესამე-მეოთხე ხარისხია, ჩვენ უკვე ვაკერინებთ რკინის კორსეტებს.

სქოლიოზი გვაქვს ოთხი ხარისხის. პირველი და მეორე ხარისხი ექვემდებარება მკურნალობას და კარგ შედეგებს ვიღებთ ხოლმე. მიდის აქტიური ვარჯიში, რომ შეიქმნას ბუნებრივი კორსეტი ზურგის, მუცლის და ორივე გვერდითი კუნთების. ეს კორსეტი რომ შეიქმნება, ხერხემალი ფიქსირდება.

გვაქვს კიფოსქოლიოზიც. ეს ცოტა რთული დაავადებაა. აქ გვჭირდება ისეთი მხარსაჭერი, რომ გადაჭიმოს ზურგი, მაგრამ ვარჯიშთან ერთად. მარტო მხარსაჭერი შედეგს არ იძლევა. ზოგი მშობელი მეუბნება, მარტო კორსეტს ვიყიდითო, მაგრამ აზრი? როგორც კი მოიხსნის კორსეტს, ბავშვი უარესად მოიღრიცება.

– მესამე-მეოთხე ხარისხი მკურნალობას ექვემდებარება?

– რა თქმა უნდა, მაგრამ მეოთხე ხარისხი უკვე კუზია. ამიტომ აქამდე რომ არ მივიდნენ, აუცილებელია, დროულად მიაკითხონ სპეციალისტს. დიდი გოგონები რომ მოჰყავთ მშობლებს,

თავს იმით იმართლებენ, მარტო ბანაობს და ვერ შევხედეთო. არადა, ბავშვი რომ დგას, ეგრევე ჩანს ასიმეტრია. მით უმეტეს, გოგო რომ დადგება სარკესთან, ძუძუები, მხრები ასიმეტრიულია ამ დროს.

– ყველაზე მეტად რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება?

– სამი წლიდან მშობლებმა აუცილებლად წელიწადში ორჯერ მაინც, ეს არის ყველაზე მინიმუმ, მიიყვანონ შვილები ორთოპედებთან პროფილაქტიკის მიზნით. ჩვენთან 4-5 წლის ბავშვები მოჰყავთ, უკვე ხარისხები აქვთ.

პედიატრი და ორთოპედი რომ გასინჯავენ ბავშვს და ის ასიმეტრიულია, უშვებენ ცურვაზე. ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული. ცურვაზე ბავშვი იმხელა დატვირთვას ვერ მიიღებს, რომ დატვირთოს მისი კუნთები. ბავშვმა ჯერ უნდა ისწავლოს ცურვის ილეთები, ამიტომ პირველი რიგში უნდა გაგზავნო სამკურნალოდ ფიზკულტურის კაბინეტში, რომ ჩაიტაროს 20 დღიანი კურსი.

3 წლიდან რომ ვიწყებთ ვარჯიშს, მთელი წლის განმავლობაში დადიან, როცა შევხედავ, რომ შეექმნა ბავშვს უკვე კუნთოვანი კორსეტი, მერე ვეუბნები, რომ ზაფხულში წაიყვანონ ცურვაზე, რათა შევასწავლოთ ცურვა. შემდეგ რიგ-რიგობით მიმდინარეობს ეს პროცესი. სექტემბერში თუ ბავშვი ვარჯიშობს, ოქტომბერ-ნოემბერი ცურავს. თუ ბავშვი შეძლებს, შემდეგ შეუძლია ერთდროულად ივარჯიშოს და იცუროს კიდეც.

– ხშირად ხერხემლის პრობლემიანი ბავშვები შეჰყავთ ცეკვაზე.

– არავითარ შემთხვევაში, 12 წლამდე არანაირი ცეკვა.

– არც სპორტის სხვა სახეობებზე შეიძლება სიარული?

– ასეთი ბავშვებისთვის ერთადერთი სპორტი არის ცურვა, სხვა არანაირი სპორტი.

– დისპლაზია უფრო გოგონებს აქვთ?

– ბიჭებსაც აქვთ, მაგრამ უფრო მეტად გოგონებს. ერთი პაციენტი მყავდა, 11 სანტიმეტრით იყო განსხვავებული ერთი მენჯი მეორისგან. 5 კურსი გავუკეთე თავისი ორთოპედიული ტრუსებით და გამოვძვერით ამ მდგომარეობიდან. დედამისს ჰქონია ქვეამოვარდნილობა.

– როდიდან უნდა გავუკეთოთ პატარებს მასაჟი?

– ყველაზე კარგი პერიოდია 3-6-9-12 თვე. ამ პერიოდში ბავშვებს რომ გავუკეთოთ მასაჟი, ეს არის ბავშვის მკურნალობა. ბევრი მშობელი ამბობს, 10 დღე ვატარე მასაჟებზე და ვარჯიშებზე და საკმარისიაო. ეს არ არის სწორი. ერთი სრულფასოვანი კურსი არის 20 დღიანი. 3 თვეში ერთხელ ეს კურსი უნდა ჩატარდეს, მაშინაც კი, როცა არ გვაქვს პრობლემა. თუ დისპლაზია გვაქვს, ვაკეთებთ 20 დღიან კურსს, 20 დღე ბავშვს ვასვენებთ და მერე ვიწყებთ მეორე კურსს. ასე უნდა ჩავატაროთ 3 კურსი ზედიზედ. მერე უკვე შეიძლება 3 თვეში ერთხელ გაკეთდეს მასაჟები.

– ხშირად მოგმართავენ მშობლები ბავშვების პრობლემებით?

– სამწუხაროდ, ახლა უპრობლემო ბავშვი არ არსებობს, ყველას რაღაც პრობლემა აქვს. არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც უკვე ტერფმრუდობით და მტევნებმრუდობით იბადებიან. სამწუხაროდ, ასეთმა შემთხვევებმა იმატა. მათ როგორც კი გამოიყვანენ საავადმყოფოდან, მაშინვე უკეთდებათ ფიქსატორები და იწყება მასაჟი. ამ შემთხვევაში 3 თვემდე ლოდინი დანაშაულია.

– გახშირებულია ბავშვებში პათოლოგიები?

– ძალიან ბევრია, თითქმის 80 პროცენტი.

– პროცენტულად გოგონებში მეტია თუ ბიჭებში?

– თითქმის თანაბარია.

– დღეისთვის რა უფრო გახშირებულია ბავშვებში – ბრტყელტერფიანობა, დისპლაზია თუ სქოლიოზი?

– ყველა დაავადება თანაბრად არის გახშირებული, მაგრამ განსაკუთრებით სქოლიოზის შემთხვევებმა იმატა, 100 პროცენტით არის მიმატებული.

– სკოლის ჩანთების სიმძიმე რამდენად იწვევს ხერხემლის გამრუდებას?

– სკოლის ჩანთა ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ თუკი ბავშვს გენეტიკურად არ აქვს ეს დაავადება, როგორც გინდა მოკეცე ბავშვი, არაფერი ექნება, მაგრამ დღეს ყველას აქვს ეს პრობლემა, ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა მაგარი ლოგინი, ჩვილობიდან ბავშვი მაგარზე უნდა იწვეს, ორთოპედიული ლეიბი, უბალიშოდ წოლა, ორთოპედიული ფეხსაცმელი და, რა თქმა უნდა, ნორმალური მერხები სკოლაში. შემდეგ უკვე მოდის ჩანთები, რომლებიც ძალიან მძიმეა, 12-15 კილომდე სიმძიმის ჩანთები აქვთ მოსწავლეებს.

– ბალიშის გარეშე რა ასაკამდე უნდა იწვეს ბავშვი?

– რაც უფრო გვიან დაიდებენ ბალიშს, მით უკეთესი. 20 წლამდე ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია, რადგან ზრდის პერიოდი მიმდინარეობს. ზოგი ზრდას 16 წლის ასაკში წყვეტს, ზოგი – 18 წლის ასაკში. რაც შეეხება ბალიშს, თუ მაინცდამაინც არ შეუძლიათ ბალიშის გარეშე ძილი, აფთიაქებში იყიდება ორთოპედიული კისრის ბალიშები, რომელიც შეგვიძლია ბავშვებს 10 წლის ასაკიდან დავუდოთ. როცა წვებიან, ხერხემალს მთელი დატვირთვა ეხსნება და სხეული განიტვირთება.

– თუ არსებობს ვარჯიშები, რომლებიც შეიძლება მშობლებმა სახლში გააკეთებინონ ბავშვებს? თუნდაც მარტივი ვარჯიშები?

– მარტივი ვარჯიშების დროსაც უნდა იცოდე მეთოდიკა, როგორ გააკეთო. მაღლა არ უნდა აწიო ფეხი, კისრის აწევა არ შეიძლება, მეთოდურად უნდა იყოს ვარჯიში გამართული. სანამ მშობელსაც არ ასწავლი, ვერ გააკეთებს, ამიტომ სჯობს, საერთოდ არაფერი არ გააკეთებინოს ბავშვს.

ზოგი ორთოპედიულ წოლასაც არ აკეთებს, რა საჭიროაო, არადა ორთოპედიული წოლა უმთავრესია, რომ განიტვირთოს ხერხემალი იმისგან, რა დატვირთვაც 45 წუთის განმავლობაში მიიღო.

ამერიკელი კაზინოს მოგებული და აუღებელი ჯეკპოტის გამო სასამართლოში უჩივლებს

ქალაქ ნიუ-იორკის მკვიდრმა კატრინა ბუკმანმა გადაწყვიტა ადგილობრივ კაზინოს სასამართლოში უჩივლოს, რომელმაც უარი უთხრა მის მიერ მოგებული 43 მილიონი დოლარის გადახდაზე. იურისტ ალან რიპკის თქმით, მის კლიენტს უსამართლოდ მოექცნენ.

სათამაშო დაწესებულების ხელმძღვანელობამ ქალს განუცხადა, რომ ავტომატი, რომელზეც მან ჯეკპოტი მოხსნა, გაუმართავი იყო და მის ეკრანზე ასახული თანხა სინამდვილეს არ შეესაბამება. მას ურჩიეს, თავისი ნამდვილი მოგება – 2,25 დოლარი აეღო და ასევე უფასო სადილი სტეიკით გამასპინძლება შესთავაზეს. კაზინოში დააზუსტეს, რომ ავტომატზე მაქსიმალური შესაძლო ჯეკპოტი 6,5 ათას დოლარს შეადგენს.

ბუკმანმა ჯეკპოტი მიმდინარე წლის აგვისტოში მოხსნა. მოგების შემდეგ კატრინს სთხოვეს, დაწესებულება დაეტოვებინა და მეორე დღეს მისულიყო.

როგორც ქალმა განაცხადა, მან იმავე დღეს დაგეგმა, თუ რაში დახარჯავდა ასეთ მსხვილ თანხას. კერძოდ, ბუკმანმა გადაწყვიტა შვილისთვის სილამაზის სალონი შეეძინა და მატერიალურად დახმარებოდა გაჭირვებულებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ასტროპროგნოზი
8 ნოემბრისათვის

ვერძი – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** – იმედებითა და ახალი გეგმებით აღსავსე დღეა. მიზანს მიაღწევთ. ნათესავებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – შესაძლოა, სამსახური ან სულაც პროფესია შეიცვალოთ. წარმატების გარანტი თქვენი პრაქტიკულობა და ინტუიციაა. **ლომი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან. ეს დღე ოჯახურ გარემოში გაატარეთ. **ქალწული** – შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. პარტნიორი თქვენს გაოცებას მოახერხებს. **სასწორი** – დილით ქრონიკული დაავადებები მწვავდება. საღამოს უკეთეს ფორმაში ჩადგებით და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებთ. **ღრიანკალი** – კომერციული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდება. ინიციატივას ნუ დათმობთ. კოლეგები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **მშვილდოსანი** – იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება განმარტოება, სეირნობა სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** – საკმაოდ იღბლიანი დღეა საქმიანი ურთიერთობებისათვის. სამსახურში სასიკეთო ცვლილებები მოხდება. **მერწყული** – მიზნის მიღწევაში დაბრკოლებები გელით. რეალობას ნუ მოსწყდებით. დეტალები მხედველობიდან არ გამოგრჩეთ. **თევზები** – ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. ნებისმიერ უსიამოვნებას თავიდან ღირსეულად აირიდებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ტკბილი კარტოფილი; 3. პლანეტების თანამგზავრი; 4. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. თურქეთსა და საბერძნეთს შორის მდებარე ზღვა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვეციის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერული ფხვნილი.

თარაზულად: 1. ქართველი მწერალი; 5. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 7. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 9. აკრძალვა პროდუქციის შემოტანაზე სახელმწიფოში; 10. შევარდენისნაირთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი; 13. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. წელის ტკივილი; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილება; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პფენიგი; 5. ტემპი; 7. გურმანი; 9. ქარაგმა; 10. ალიგოტე; 13. ზვარაკი; 14. ანანკე; 15. სენა; 19. ავაზაკი; 20. მონოტიპი; 21. კავენდიში; 22. ვინილი.

შვეულად: 1. პუნქტი; 2. ნისანი; 3. პულოვერი; 4. ანალოგ; 6. პათეტიკა; 8. ემბაზი; 11. ენდშპილი; 12. სერვისი; 16. საბზა; 17. კორტი; 18. ლუქსი.

სკანვორდის პასუხები:

1. არეტა; 2. ბაქანი; 3. ქანდარა; 4. ავშარა; 5. სნო; 6. ფოფოდია; 7. აკოსტა; 8. თარაშ; 9. გო; 10. აბა; 11. ნავარა; 12. ტორი; 13. კაკანათი; 14. კარგო; 15. ილიადა; 16. არისა; 17. არვე; 18. რაე; 19. იქთიოგრაფია; 20. პადრე; 21. პირანია; 22. ლინი; 23. სარდინი; 24. ტოსტერი; 25. ოდილია; 26. ლანსერე; 27. ტაელი; 28. რინიტი; 29. კეიტ; 30. იდიია; 31. ილუსტრატორი; 32. ისიდა.

სურათებზე: დებორა სეკო; ედისონ კავანი.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ თანამშრომლის, დამსახურებული ექიმის

ქეთევან რურუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი

ნოდარ ხარაბაძე

ნოდარ შალვას ძე ხარაბაძე დაიბადა 1940 წელს, 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხიდებისა და გვირაბების სამშენებლო ფაკულტეტი.

1963-1997 წლამდე მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს სისტემაში ტრესტ „მშენინდუსტრიაში“ სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე №15 ტრესტის მმართველად, №2 სახლთმშენებელი კომბინატის უფროსად, რაჭა-ლეჩხუმის მიწისძვრით დაზიანების აღდგენითი სამუშაოების კომპლექსის უფროსად, გაერთიანება „ქალაქმშენის“ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1996 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ს.ს. „მშენებელი-96“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა ქ.თბილისის თითქმის ყველა მიკრორაიონი. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით, მედლითა და სიგელით.

იგი იყო წარსულში ცნობილი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ჭიდაობაში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

იყო ბრწყინვალე მეოჯახე, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა. ყველასთვის ერთგული მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

პანაშვიდი: 8, 9 ნოემბერს, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი №1.

გამოსვენება: 10 ნოემბერს, 14 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან, საბურთალოს სასაფლაო.

სს „მშენებელი-96“-ის აქციონერები

შვილები ნანული, რევაზ სურმავები, სიძეები სერგო ფიფია, ნიკოლოზ ფარცვანია, გიგლა ჩიქოვანი, და გუგული კვესელავა, რძლები თათია კოტორაშვილი, გულიკო სურმავა, ნელი კვესელავა, ლია გვასალია, შვილიშვილები ნინი, ვლადიმერი, თეა ფიფიები, გიორგი, მიხეილ სურმავები, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან

თამარა კლიმენტის ასული თოფურია-სურმავას

გარდაცვალებას.

გამოსვენება: 10 ნოემბერს, 14 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიიდან (უფლისციხის ქუჩა, კუკია).

სერგო ფიფია და ნანული სურმავა ოჯახით იუწყებიან

თამარა კლიმენტის ასულ თოფურია-სურმავას

გარდაცვალებას.

გამოსვენება: 10 ნოემბერს, 14 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიიდან (უფლისციხის ქუჩა, კუკია).

2016 წლის 5 ნოემბერს გარდაიცვალა

მამია ოთარის ძე გოგავა

პანაშვიდი: სამშაბათს და ოთხშაბათს, 8-9 ნოემბერს. მის:. აწყურის ქ. 20ა

გამოსვენება: 10 ნოემბერს, 14 საათზე, I საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან.

დაკრძალვა: მუხათგვერდის სასაფლაოზე.

ვიზიარებთ, ჩვენი მეგობრის, მზია ჩაჩავას მწუხარებას შვილის, ახალგაზრდა ვაჟკაცის

მამია გოგავას

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ახალგაზრდა ბიჭის სული.

მზიას თანაკლასელები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

აღადგინეთ სვეტიცხოვლის დახვრეტილი კედლები!

– ამ მოწოდებით ვრცელდება პეტიცია სოციალურ ქსელში, რომლის ავტორიც დავით ნინიკაშვილია.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის გალავანი, დღეისათვის კონდიციონერებით და საკვამურებით არის დახუნძლული. მოქალაქეები ალტერნატიული გზების მოძიებას ითხოვენ და სვეტიცხოვლის დახვრეტილი კედლების აღდგენას მოითხოვენ.

ტაძარი ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია საქართველოში და XI საუკუნეში აგებული ეკლესია ოთხ დიდ კათედრალთა ჩამონათვალშია: სვეტიცხოველი, ოშკი, ბაგრატის ტაძარი და ალავერდი.

სვეტიცხოველთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ სპეციალური განცხადება ვრცელდება:

– უმორჩილესად გთხოვთ, ყურად იღოთ თხოვნა, ჩამოხსნათ სვეტიცხოვლის გალავნის კედლებიდან გამათბობლები. მოიფიქრეთ შენობის გათბობის სხვა მეთოდი, რომელიც ნამდვილად არსებობს.

უმორჩილესად გთხოვთ, აღადგინეთ სვეტიცხოვლის დახვრეტილი კედლები!“



საქართველო
თელავის მერია

პაატა გულიაშვილს თელავის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს

რუსთაველის თეატრის მსახიობს და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ პაატა გულიაშვილს თელავის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

ეს წოდება ხელოვანს თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ მიანიჭა და სპეციალური სიგელითაც დაადასტურა, რომ პაატა გულიაშვილი ამ ტიტულის მფლობელი თელავის თეატრის განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის გახდა.

პაატა გულიაშვილმა თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დუტა სხირტლაძე შეცვალა, რომელმაც დასთან დაპირისპირების გამო, დაკავებული პოსტი მალევე დატოვა.

ბოჭორმის ქუჩაზე სოც-არტი გაანადგურეს

მეტროსადგურ „300 არაგველთან“ მდებარე ბოჭორმის ქუჩაზე ცნობილი საბჭოთა მოზაიკის ნახევარი დაანგრიეს.

ვანდალური აქტის ამსახველი ფოტოები ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– მეტროსადგურ „300 არაგველთან“ მდებარე ბოჭორმის ქუჩაზე შევნიშნე, რომ ცნობილი საბჭოთა მოზაიკის ნახევარი ჩამონგრეულია. ჩემი ვარაუდით, ეს სამშენებლო კომპანიის მიზეზით მოხდა. ვფიქრობ, რომ საქმე გულგრილობასთან, ან სოცარტის განგებ ხელყოფასთან გვაქვს. ეს ჩვენი წარსულია. თანაც, ქართული საბჭოთა მოზაიკა ნამდვილად საუკეთესოა და სახელმწიფომ მის დაცვაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. თუ არადა, ავდგეთ და საბჭოთა პერიოდში გადაღებული ყველა ფილმი დავჭრათ, ლიტერატურა ცეცხლში მოვისროლოთ, იმ პერიოდის სიმღერების დროს ყურებში საცობი ჩავიტენოთ და ასე შემდეგ. წარსულის უპატივცემულობამ კი იქამდე მიგვიყვანა, რომ დღეს არც ერთი ამფითეატრი გვაქვს, არც საკულტო ნაგებობა, არც ძველი დამწერლობის ნიმუშები და კიდევ ბევრი რამ.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ინგრევა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში მდებარე პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი უმძიმეს მდგომარეობაშია.

სახლ-მუზეუმის სავალალო ვითარება კარგად არის ცნობილი იმ უწყებებისთვის, ვისაც მისი აღდგენა-რეაბილიტაცია ევალება, თუმცა სარესტავრაციო სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა.

შენობის კედლები დაბზარულია, ჭერიდან ბათქაში ცვივა, იატაკი დამპალია, არასათანადო პირობების გამო, განადგურებულია მუზეუმში დაცული ექსპონატები, არანაირი პირობები არ არსებობს მათი მოვლისა და შენახვისთვის.

საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის გადასარჩენად არაერთი ღონისძიება ჩატარდა. საზოგადოება ქმედითი ღონისძიებების ამ დრომდე გატარებას ითხოვს, მაგრამ უშედეგოდ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ხელბურთელთა ნაკრები იტალიასთან თბილისშიც დამარცხდა

საქართველო-იტალია 25:28

საქართველო: თევზაძე; ჩიქოვანი (11), მსხვილიძე (6), გრიშიკაშვილი (2), ორჯონიკიძე (2), წითელიშვილი (1), ჭანტურია (1), დათუკაშვილი (1), რუსტამოვი (1), აბრამიშვილი, სიმონია, გვაზავა, დიხამინჯია

იტალია: ფოვიო; ტურკოვიჩი (7), რადოვჩიჩი (6), სკატარი (4), ჯანოკარო (3), სპერტი (3), პარიზინი (2), ვოლპი (2), იბალი (1), ზონერერი, დარიპანი, მორეტი, ვენტური, კოლაზუონო

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა მეორე მატჩიც წააგო იტალიასთან და დაკარგა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფში პირველობის შანსი. ევრო 2020-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში მოსახვედრად ახლა მეორე შესაძლებლობა გვექნება – 2017 წლის ჩელენჯ ტროფიზე წარმატებით გამოსვლა.

საქართველოს ნაკრებს 2013-15 წლებში ზედიზედ 5 ოფიციალური მატჩი ჰქონდა მოგებული საკუთარ მოედანზე, მაგრამ ამ სერიის იტალიასთან გაგრძელება ვერ მოახერხა.

მართალია, სირაკუზაში წაგებული თამაშის შემდეგ დაგვემატნენ მსხვილიძე და დათუკაშვილი, საუკეთესოდ ითამაშა ირაკლი ჩიქოვანმა, რომლის 16 დარტყმიდან თერთმეტმა მიზანს მიაღწია, მაგრამ იტალია უფრო დაბალანსებული და თანაბარი გუნდი გამოდგა და ბოლოში მაინც გაგვტეხა.

იტალიასაც ჰყავდა ლიდერები, ტურკოვიჩი და რადოვჩიჩი, მაგრამ მათი მონაგარი ბევრად უფრო თანაბრად გადანაწილდა. სტუმრებმა ყველა პოზიციიდან გაგვიტანეს რამდენიმე გოლი: ორივე კუთხიდან, 6 და 9 მეტრიდან, სწრაფი გარღვევებიდან, საქართველოს ნაკრები კი ზედმეტად აღმოჩნდა დამოკიდებული ორ ლიდერზე, მსხვილიძესა და ჩიქოვანზე, და, რა თქმა უნდა, საბოლოოდ ორივე დაიღალა.

იტალია 3 ბურთით გვიგებდა პირველ ტაიმში, მაგრამ თამაშის ნახევარი 13:13 მორჩა, მეორეში კი რამდენჯერმე ერთი ბურთითაც დავწინაურდით. გადამწყვეტი გამოდგა 51-54 წუთები, როდესაც გარემარბმა კარლო სპერტიმ ზედიზედ ორი გოლი შეგვიგდო, შემდეგ კი დეან ტურკოვიჩმა შვიდმეტრიანი გაიტანა – 22:25 და ამ სიტუაციიდან ვეღარ გამოვედით.

ჯგუფში მომდევნო მატჩები იანვარშია: ჯერ საქართველო და ლუქსემბურგი ითამაშებენ ორჯერ, შემდეგ კი – ლუქსემბურგი და იტალია.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

პროგრამა

სამშაბათი 8 ნოემბერი

06.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბევი**" **07.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **08.00** "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუფფი**" **12.20** მხ/ფ "**ბიჭი კალიფორნიიდან**" (მ. შინი) **14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბევი**" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** დ/ფ "თოფ- გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**" **03.00** "რეალური სივრცე"

08.00, 14.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00, 17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" **12.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრო ვებრინგ**" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ლირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** შენ შეგიძლია ცეკვა **23.30** მხ/ფ "**თავისუფლები**" **02.15** მხ/ფ "**ფლინივით**"

06.00სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45**სერ. "**ბაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქრარს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი - **2016** სპორტ ტაიმი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

არხის რეორგანიზაციის გამო ტელეპროგრამას ვერ ქთავაზობთ.

06.10 სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე**" **07.00** დ/ფ "დამოუკიდებლობის აღდგენა" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პატერიკი-ოთხი კიდობნის შესახებ **10.40** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია "საგარეჯო" **11.05** დ/ფ "ფრაგმენტები ტაოკლარჯეთის ისტორიიდან" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "მამობილი" **15.40** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **15.55** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **16.10** ქრისტიანული ხელოვნება "ქრისტიანული ხელოვნების არსი" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "ოდოია" **17.05** დ/ფ "ქართული კალათბურთი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მონოფიზიტობა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ღია აუდიტორია **20.10** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქარმელიტა**" **10.00, 13.30** სერ. "**სენტრალური საავადმყოფო**" **11.00, 18.50** სერ. "**ბაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 1.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 2.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**ქარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ბემი**" **21.40** პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.40** სერ. "**ესკობარი**" **23.30** "მოვლენათა ეპიცენტრში" **(05.11.16)**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.4516**

ევრო — **2.7198**

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — **3.0594**

100 რუსული რუბლი — **3.8352**

ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისთვის

8 ნოემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

დევიდ ლოურენსი
ლედი ჩეთერლის საყვარელი



ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია.

მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი წიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

წიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი.

დევიდ ლოურენსის ეს წიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ გაწყვეტილა.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

10 ნოემბრიდან

ჯერალდ დარელი
იდუმალი ხმების ქვეყანა. მთვრალ ტყეში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

მიხეილ გიორგაძეს ია მაქაცარია შეცვლის?

არჩევნების დასრულებისთანავე ხელისუფლებაში სამთავრობო ცვლილებები დაიწყო.

გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე მინისტრი თანამდებობას დატოვებს. მათ შორის სახელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე. გავრცელებული ინფორმაციით, გიორგაძეს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ია მაქაცარია შეცვლის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალისტებთან კომენტარი მიხეილ გიორგაძემ გააკეთა:

– ია მაქაცარია ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი და გუნდური მოთამაშეა. მასთან ძალიან კარგად ვთანამშრომლობ, როგორც მერიის წარმომადგენელთან. ია აქტიურად იყო ჩართული მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივ ღონისძიებებში. რაც შეეხება კითხვას, შემცვლის თუ არა ია მაქაცარია, მთავრობაში ცვლილებების შესახებ განცხადებას პრემიერი გააკეთებს. მე ვერც ვერაფერს უარვყოფ და ვერც დავადასტურებ.

კულტურის მინისტრთან დაკავშირებით, განცხადება კინომცოდნე გოგი გვახარიამაც გააკეთა:

– საქართველოში მტერი თუ გყავს, უნდა ისურვო, კულტურის მინისტრად დანიშნონ. თუ გინდა ადამიანი გაფუჭდეს, იქ უნდა გაუშვა, რადგან არც ერთ სხვა მინისტრს არა აქვს საქმე იმდენ ამბიციურ, პრეტენზიულ, თავის თავში შეყვარებულ ნევროტიკთან, როგორც კულტურის მინისტრს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

•••

წარწერა ეზოს ჭიშკარზე:

„ძაღლი ავი არ არის, მაგრამ მეტად სუსტი ნერვები აქვს.“

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენმა დამ რატომ გადაწყვიტა, კბილის ექიმი გამოვიდეს?

– მოსწონს, როდესაც მამაკაცები პირდაღებულები და თვალებდაჭყეტილები უყურებენ.

•••

მამაკაცი საყვარელს ურეკავს და ეუბნება:

– საყვარელო, მზად იყავი, ერთ საათში შენთან გავჩნდები.

მივიდა საყვარლის სახლთან, მანქანა გაუშვა და მძღოლს დაუბარა, რომ ორ საათში მოაკითხოს. სადარბაზოში შესულს ლიფტის კართან წარწერა დახვდა: „ტექნიკური მიზეზების გამო ლიფტი არ მუშაობს“. საყვარელი კი ბოლო, მე-16 სართულზე ცხოვრობს. კაცმა ოთხი სართული სიყვარულით ფრთაშესხმულმა აირბინა. მეექვსეზე შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. მე-11 სართულზე კი კიბეზე ჩამოჯდა და ჩაილაპარაკა:

– ნეტა, ეს შობელძაღლი, სახლში არ იყოს!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რას მეტყოდი, რომ გაგეგო, რომ შენ ყველაზე ახლო მეგობართან ვიწექი?

– რას და, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ლესბოსელი იყავი.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– რაც ერთად ვართ, არასოდეს მქონია ურთიერთობა სხვა ქალთან. და შენც შეგიძლია იგივეს თქმა?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ არა ასეთი პატიოსანი გამომეტყველებით.

•••

კაცი სახანძროში რეკავს და მორიგეს ეუბნება:

– ჩქარა, დამეხმარეთ, ჩემი სახლი იწვის!

– როგორ მოვიდეთ?

– თქვენ, რა გააფრინეთ?! დიდი წითელი მანქანით!

•••

კაცი სარკის წინ პირს იპარსავს და ცოლს ეუბნება:

– რაღაც ჩემი სამართებელი ცუდად მპარსავს!

– უცნაურია, ლინოლიუმს კარგად ჭრიდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ჩელსის ხავიერ პასტორეს შეძენა სურს



ლონდონის ჩელსი ახალ ნახევარმცველს ეძებს, რომელიც სესკ ფაბრეგასის ადგილს დაიკავებს.

ფაბრეგასი ანტონიო კონტეს გეგმებში არ ჯდება, ამიტომ ის ზამთარში ჩელსის დატოვებს. მის ნაცვლად ჩელსის არგენტინელი ნახევარმცველის ხავიერ პასტორეს შეძენა სურს, რომელიც ამჟამად პსჟ-ს ღირსებას იცავს.

პასტორე უკვე 4 წელია, პსჟ-ს ფეხბურთელია, მაგრამ ბოლო პერიოდში აღარ ითვლება ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ. ამიტომ მისი ფრანგული გუნდიდან წასვლა არავის გაუკვირდება.

რაც შეეხება ფაბრეგასს, ის შესაძლოა მილანის ფეხბურთელი გახდეს. იტალიურმა გუნდმა უკვე ოფიციალური წინადადებითაც მიმართა ლონდონის ჩელსის.

რობინ ვან პერსის მხედველობის დაკარგვა არ ემუქრება

არსენალის და მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფეხბურთელმა რობინ ვან პერსიმ, რომელიც ამჟამად თურქულ ფენერბახჩეში თამაშობს, თვალის სერიოზული ტრავმა მიიღო.

აკხისარის წინააღმდეგ შეხვედრაში ვან პერსის მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა შემთხვევით ხელი ძლიერად პირდაპირ მარცხენა თვალში მოარტყა, რის შემდეგაც ჰოლანდიელი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვან პერსიმ შესაძლოა მარცხენა თვალში მხედველობა დაკარგოს, თუმცა თვითონ ფეხბურთელმა ეს უარყო და თქვა, რომ მას მკურნალობა დასჭირდება, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ არის.

ფენერბახჩეს ექიმმა ასევე განაცხადა, რომ ჰოლანდიელს მხედველობის დაკარგვა არ ემუქრება.

კრიშტიანო რონალდუმ რეალთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ მადრიდის რეალთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, რონალდუ რეალის ღირსებას 2021 წლის ჩათვლით დაიცავს. კონტრაქტის ამოწურვის დროს კრიშტიანო უკვე 36 წლის იქნება, ამიტომ, სავარაუდოდ, ის კარიერას რეალში დაასრულებს.

ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ამბობენ, რომ რონალდუ წელიწადში 21 მილიონ ევროს მიიღებს, რომელსაც ბონუსებიც დაემატება.

კრიშტიანომ განაცხადა, რომ რეალში ძალიან ბედნიერია და კარიერას მადრიდულ გუნდში დაასრულებს.

ენდი მარეი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა

შოტლანდიელი ჩოგბურთელი ენდი მარეი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა.

მარეიმ პირველ ადგილზე პარიზის მასტერსის მოგების შემდეგ გადაინაცვლა, სადაც ფინალში ამერიკელი ჯონ იზნერი დაამარცხა.

ენდი მსოფლიო რეიტინგის სათავეში პირველად მოექცა, ამიტომ იზნერთან მატჩის შემდეგ სიხარულს არ მალავდა.

მარეის თქმით, მას წლების მანძილზე გაწეული შრომა დაუფასდა, ამიტომ ის ძალიან ბედნიერია.

სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ბოლო თვეებში ცუდი შედეგები აჩვენა, ამიტომ მან რეიტინგში მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯვროსვოხდი ↓



შვეულად: 1. მონასტერი ქსნის ხეობაში; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. ისტორიული მოედანი ლონდონში; 4. ცისფერი ძვირფასი ქვა; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ალპინისტთა ექსპედიცია, რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. პეკინის მეორე სახელწოდება; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 20 ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. უდაბნო შუა-აზიაში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. აეროპორტი პარიზში; 23. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 24. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა